# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 11 სექტემბერი 2008 №209 (3433)

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ, რა თქმა უნდა, იმედი ავაგეთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ისევ წავაგეთ...

## ფორტუნამ იღბალს ზურგი აქცია



საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# საყვედური გვიჭირს, მაგრამ ეროვ-ნული კი გვჭირს

უდინე. 10 სექტემბერი. 22.45 საათი. ფრიული

## იტალია 2:0 საქართველო

| 1:0, 2:0 დე როსი (17, 88) | |
|---|---|
| იტალია: ბუფონი, კანავარო, ლეგროტალიე, დოსენა, ძამბროტა, პირლო (პალომბო 46), აკვილანი, კამორანეზი, დე როსი, დი ნატალე (დელ პიერო 56), ტონი (იაკვინტა 71) | საქართველო: ლორია, კალაძე, სალუქვაძე, ელიავა (კვირკველია 46), ლობჟანიძე, მენთეშაშვილი (ოდიკაძე 68), ხმალაძე, კობიაშვილი, ყენია, ა. იაშვილი, მჭედლიძე (სირაძე 55) |
| მწვრთნელი: მარჩელო ლიპი | მწვრთნელი: ჰექტორ რაულ კუპერი |
| გაფრთხილება: პირლო (45), აკვილანი (54), ყენია (67) | |
| მსაჯები: ტ. აინვალერი, რ. ჰაიმი, ნ. შვაბი, შ. მესნერი (ყველა ავსტრია) | |
| დამკვირვებელი: ზ. დიას ვეგა (ესპანეთი); დელეგატი: ი. სტრაუსი (ისრაელი) | |



ლაშა სალუქვაძე ალესანდრო დელ პიეროს წინააღმდეგ

**ძნელია**, ეს მომენტი დაივიწყო: 28-ე წუთზე ლევან ყენიამ მოედნის ცენტრთან მოიგდო ბურთი, ლევან მჭედლიძეს გააყოლა ფლანგზე, თვითონ კი ჯანლუიჯი ბუფონის შორიახლოს ჩასაფრდა; მჭედლიძემ კარგად უპასა ყენიას და გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ... 17 წლის ქართველს ბურთი ფეხებში აებლანდა, ხელმეორედ სცადა დარტყმა და ნიკოლა ლეგროტალიეს თავში მოარტყა, ვისგანაც ბუფონს მიუვიდა.

საუკეთესო მომენტი ეს იყო — გოლი რომ გასულიყო, ვინ იცის, რა თამაში წავიდოდა, ასე კი, იტალიამ საკუთარ საჯარიმოში მეტი ფუფუნების საშუალება აღარ მისცა ქართველებს და მატჩის ბოლოს დანიელე დე როსიმ მეორედ გაიტანა.

ისეთი თამაში იყო, ერთი ნაპერწკალი, ერთი შტურმი სჭირდებოდა ჰექტორ რაულ კუპერის გუნდს, მაგრამ ეტყობა, მეტოქის ავტორიტეტმა მაინც იმოქმედა — ჩვენების სიმწვავე მეტოქის საჯარიმოსთან იკარგებოდა.

უდინეს „ფრიულიზე" ტრიბუნები ბოლომდე არ შევსებულა, თუმცა საქართველოს ხუთჯერიანი დროშები საკმაოდ იყო. წაგება წაგებაა, მაგრამ, მოდით, ალალად ვთქვათ — საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებთან სახე არ დაკარგა და გაცილებით კარგად ითამაშა, ვიდრე შარშან ამ დროს, როცა ასევე 0:2 დათმო.

კუპერმა რამდენიმე ცვლილება მოახდინა ირლანდიასთან წაგების მერე, კერძოდ, ტრავმირებული ზურაბ ხიზანიშვილის ადგილი დაცვის ცენტრში ლაშა სალუქვაძემ დაიკავა, მარცხენა მცველად გიორგი შაშიაშვილის ნაცვლად ზაალ ელიავა გაამწესა, ნახევარდაცვის სამკაციან საყრდენ ზოლში დავით ოდიკაძეს ლევან ხმალაძე შეენაცვლა, წინ კი რატი ალექსიძის მაგივრად ლევან მჭედლიძე დადგა.

მჭედლიძემ კარგად ითამაშა და ცოტა გასაკვირი იყო, კუპერმა დავით სირაძით რომ შეცვალა. პალერმოელი გაცილებით ენერგიული იყო, აწუხებდა მცველებს და იმ თითქმის საგოლე პასის გარდა ერთი-ორჯერ კიდევ ნახა ხვრელები.

კარგი იყო სალუქვაძე-კალაძის წყვილიც: „მილანის" კაპიტანი დაცვას უნარიანად ლიდერობდა, ბევრი იშრომა მაღალ ბურთებზე და პოზიციურადაც თითქმის არ შემცდარა. სამაგიეროდ, შედარებით უეფექტო იყო ელიავა, ვისგანაც უფრო აქტიურ თამაშს ვართ ჩვეულნი — აკი კუპერმა შესვენებაზე დავით კვირკველიათი შეცვალა, ვინაც უფრო ფხიანად ითამაშა.

და მეკარე? გიორგი ლორიამ მაინც გაუშვა გოლი შორიდან, ოღონდ მთლად „უელსურად" და „ირლანდიურად" არა — მე-17 წუთზე დე როსიმ ლევან კობიაშვილი იოლად ჩამოიშორა, არავინ დაუფარა რომაელს, არც „კობი" გაეკიდა და 20-25 მეტრიდან დე როსიმ მართლაც ლამაზი შეაგდო: ლორიას მაინც მართებდა მოგერიება, თუმცა...

მალე იყო დაუვიწყარი შანსი, რომელიც გონებიდან არ ამოდის — ყენიამ სიმწრისგან ლამის იტირა.

როგორ გავკიცხოთ ლევანი, როცა ის გუშინაც ყველაზე აქტიური იყო ჩვენებში, ყველაზე თამამად მიდიოდა იტალიელ მცველებზე და ხომ ნახეთ, მეორე ტაიმში როგორ გასცდა ჯუზეპე დოსენასა და ფაბიო კანავაროს, დარტყმაც ზუსტი გამოუვიდა, ოღონდ ჯანლუიჯი ბუფონი კარგად დახვდა ბურთს.

გასაკიცხი ავსტრიელი მსაჯი უფრო იყო, რომელმაც დე როსის მიერ ყენიას იდაყვით „ცემა" არ დაინახა და აქეთ ქართველი დააჯარიმა, ორჯერ თანამსაჯებმაც გამოიგონეს ქართველთა შეტევისას თამაშგარე.

ბრძოლა და მანცურზე გაზრებული თამაში — აი, რით დავრჩით კმაყოფილნი, თორემ იტალია რომ მწვავედ შეუტევდა საქართველოს და უპირატესობას მოიპოვებდა, ეს ცხადი იყო.

პირველ გოლამდე საშიში არაფერი ხდებოდა, მერე კი უფრო დავთმეთ თამაში და სადღაც ტაიმის შუიდან საქართველომ გამოფხიზლება დაიწყო, ბურთმა მასპინძელთა საჯარიმოში ყოფნას უხშირა, მეორე ნახევარში კი უფრო გათამამდნენ ჩვენები — მანამდე თუ იტალიელებზე დაჯარიმებასაც ერიდებოდნენ, მერე ერთი-ორჯერ კოჭები დაუსიეს მეტოქეს, რაც საჭიროც იყო.

ლორიამ მეორე ტაიმში ანდრეა პალომბოს, მაურო კამორანეზის და ორჯერ ვინჩენცო იაკვინტას აული, თუმცა არცერთი იყო მაინცდამაინც რთული ბურთი.

ბოლო წუთებში კი ქართველებს მეტი აგრესია მართებდათ შეტევებში, იტალია ამის საშუალებას იძლეოდა და გამოყენება იყო საჭირო.

ეს ვერ მოხდა და ან მეტოქისადმი რიდი იყო მიზეზი, ანაც დაღლილობა.

ეგებ სჯობდა, კუპერს გაერისკა და სირაძე-მჭედლიძე ერთად ეთამაშებინა?!

იმედის ნაპერწკალი კი იმავ დე როსიმ ჩააქრო, როცა ალესანდრო დელ პიეროს პასით ლორიას შორეულ კუთხეში გაუტანა.

ორი მატჩი, ნული ქულა: მეტი მარილი შეტევებში, ნაკლები შეცდომა დაცვაში — ესაა საჭირო, რათა უბარაქობა შემდგომშიც არ გაგრძელდეს. სათქმელად ადვილია, არა?

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჩერნოგორია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**რუსეთი 2:1 უელსი**
1:0 პავლიუჩენკო (22პ), 1:1 ლედლი (67), 2:1 პოგრებნიაკი (81)

**აზერბაიჯანი 0:0 ლიხტენშტაინი**

**ფარერები 0:1 რუმინეთი**
0:1 კოჩიში (59)

**ანდორა 1:3 ბელარუსი**
0:1 ვერხოვცოვი (37), 1:1 ზ. პუიოლი (68პ), 1:2 როდიონოვი (79)

**ყაზახეთი 1:3 უკრაინა**
0:1 ნაზარენკო (45), 0:2 შევჩენკო (54), 1:2 ოსტაპენკო (68), 1:3 ნაზარენკო (80)

**ჩერნოგორია 0:0 ირლანდია**

**მოლდოვა 1:2 ისრაელი**
1:0 პიკუშიაკი (1), 1:1 გოლანი (39), 1:2 საბანი (45)

**ლიტვა 2:0 ავსტრია**
1:0 სტანკევიჩიუსი (53), 2:0 დანილევიჩიუსი (58)

**ფინეთი 3:3 გერმანია**
1:0 იოჰანსონი (37), 1:1 კლოზე (38), 2:1 ვაირინენი (43), 2:2 კლოზე (45), 3:2 სიოლუნდი (53), 3:3 კლოზე (83)

**თურქეთი 1:1 ბელგია**
0:1 სონკი (31), 1:1 ემრე (74პ)

**ლატვია 0:2 საბერძნეთი**
0:1, 0:2 გეკასი (10, 49)

**ბოსნია 7:0 ესტონეთი**
1:0, 2:0, 3:0 მისიმოვიჩი (25, 29პ, 57), 4:0 მუსლიმოვიჩი (58), 5:0, 6:0 ჯეკო (60, 72), 7:0 იბრიჩიჩი (88)

**შვედეთი 2:1 უნგრეთი**
1:0 კალსტრიომი (55), 2:0 ჰოლმენი (64), 2:1 რუდოლფი (90)

**შვეიცარია 1:2 ლუქსემბურგი**
0:1 შტრასერი (29), 1:1 ნკუფო (43), 1:2 ლევეკი (86)

**სან მარინო 0:2 პოლონეთი**
0:1 შმოლარეკი (35), 0:2 ლევანდოვსკი (69)

**მაკედონია 1:2 ჰოლანდია**
0:1 ჰეიტინგა (46), 0:2 ვან დერ ვაარტი (60), 1:2 პანდევი (78პ)

**ისლანდია 1:2 შოტლანდია**
0:1 ბროუდფუტი (18), 0:2 რობსონი (59), 1:2 გუდიონსენი (77პ)

**ჩრდ. ირლანდია 0:0 ჩეხეთი**

**სლოვენია 2:1 სლოვაკეთი**
1:0, 2:0 ნოვაკოვიჩი (23, 81), 2:1 იაკუბკო (83)

**ალბანეთი 3:0 მალტა**
1:0 ბოგდანი (45), 2:0 დური (83), 3:0 დალკუ (89)

**ხორვატია 1:4 ინგლისი**
0:1, 0:2 უოლკოტი (26, 59), 0:3 რუნი (63), 1:3 მანძუკიჩი (78), 1:4 უოლკოტი (82)

**საფრანგეთი 2:1 სერბეთი**
1:0 ანრი (54), 2:0 ანელკა (64), 2:1 ივანოვიჩი (76)

**პორტუგალია 2:3 დანია**
1:0 ნანი (42), 1:1 ბენდტნერი (84), 2:1 დეკუ (86პ), 2:2 პოულსენი (89), 2:3 იენსენი (90)

**ესპანეთი 4:0 სომხეთი**
1:0 კაპდევილა (7), 2:0, 3:0 ვილია (16, 79), 4:0 სენა (82)

**პარაგვაი 2:0 ვენესუელა**
1:0 ვალდესი (12), 2:0 რივეროსი (28)

**ჩრდ. კორეა 1:1 ს. კორეა**
1:0 იო (64პ), 1:1 იენგი (69)

**უზბეკეთი 0:1 ავსტრალია**
0:1 ჩიპერფილდი (28)

**საამიროები 1:2 ს. არაბეთი**
1:0 ხატერი (23), 1:1 ოუტეფი (68), 1:2 ფრაიდი (73)

**ყატარი 1:1 ბაჰრეინი**
1:0 კინტანა (9), 1:1 ფატადი (67)

**ვანუატუ 2:1 ფიჯი**
1:0 საკამა (57), 1:1 დუნადამუ (90), 2:1 მალასი (90)

**ახ. ზელანდია 3:0 ახ. კალედონია**
1:0 შმელცი (50), 2:0 კრისტი (69), 3:0 შმელცი (76)

**სურინამი 0:2 სალვადორი**
0:1 მარტინი (1), 0:2 ზელეია (12)

**ურუგვაი 0:0 ეკვადორი**

## 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ახალგაზრდულები

ალბანეთი 0:0 აზერბაიჯანი

### ავსტრია

ალმოსავლეთი

ჰორნი 2:0 ვიურმლა

### ამხანაგური მატჩები

ომანი 3:2 ზიმბაბვე

სერბეთი U21 1:0 შვედეთი U21

# გოგი ქავთარაძე: პეტარ სეგრტს ვაჟკაცობა არ ეყო

## თბილისში რომ ჩამოვალთ, გადამდგარი დაგვხვდეს!

პეტარ სეგრტი: კაცი, რომელიც საქართველოში ჩამოსვლამდე ყველაზე კარგ გუნდში სადაც უმუშავია, ავსტრიული „ლეობენი" იყო. ექტორ რაულ კუპერი: კაცი, რომელიც 7-8 წლის წინ მსოფლიოს ყველაზე პერსპექტიულ მწვრთნელად ითვლებოდა, სამჯერ გაიყვანა გუნდები ევროთასების ფინალში. ამ ორი მწვრთნელის შედარება, მეტი რომ არ ვთქვათ, სასაცილოა. პირიქით, სატირალია, რომ ხორვატი არგენტინელს ედრება — გაკვირვებული დარჩა, როგორ თუ კუპერი მარჩიესო...
ეროვნული ნაკრები კი არა, ახალგაზრდულიც განზე რჩება სეგრტს. გუშინ იტალიაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს რომ ვესაუბრეთ, გაკვირვებული იყო, სეგრტი როგორ არ გადადგაო...


სფფ-მ პეტარ სეგრტს გადადგომა მოსთხოვა

გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

— მეც და ფედერაციის აღმასკომის წევრთა უმეტესობაც გაკვირვებულნი ვართ, რომ პეტარ სეგრტს არ ეყო ვაჟკაცობა და 21-წლამდელთა მწვრთნელობიდან არ გადადგა. ასე ჩავლებული ციკლი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს არ ჰქონია. ჩვენ არ ვუკარგავთ სეგრტს რუსეთთან მოგებას, როდესაც მთელმა საქართველომ გაიხარა, მაგრამ დამთავრდა ციკლი და ბოლო ადგილზე გავედით...

სწორად გაგვიგეთ, ჩვენ ჯვარს არ ვაცვამთ სეგრტს წაგებების გამო, რადგან ასეთი რამ ყველას შეიძლება დაემართოს. მარტო ეს არაა მიზეზი: სეგრტის გამაოგნებულ ინტერვიუებს ვკითხულობდით პრესაში, სადაც ის აბსოლუტურ ტყუილს ლაპარაკობს.

— უფრო კონკრეტულად?

— მაგალითად, უელსთან თამაშზე სეგრტი ამბობდა, მე ჩავიყვანე გუნდი უელსში და მე გავუმზადე ფეხბურთელები კუპერსო. ეს არის ნონსენსი — ნაკრების უელსში ჩასვლა ფედერაციის დამსახურება იყო და რატომ „იბრალებს" ეს კაცი ყველაფერს, ვერ გავიგია.

— კეთილი. როდემდე აქვს სეგრტს 21-წლამდელთა ნაკრებში კონტრაქტი?

— ციკლის დასრულების შემდეგ უნდა გადაგვეხედა კონტრაქტისთვის. იმედია, სეგრტი თვითონ მიხვდება, რომ გადასახედი არაფერია — მისი გუნდი ბოლო ადგილზე გავიდა. როგორც ჩანს, ხორვატი მწვრთნელი ამას ვერ მიხვდა და ვიმედოვნებ, იტალიიდან თბილისში რომ ჩამოვალთ, ფედერაციაში სეგრტის განცხადება დაგვხვდება გადადგომის თაობაზე. თუმცა ასეც რომ მოხდეს, მისი რეაქცია მაინც დაგვიანებული იქნება — მას პოლონეთთან წაგებისთანავე უნდა ეთქვა, წავედიო.

— და თუ არ გადადგა?

— მაშინ აღმასკომის სხდომაზე განვიხილავთ მის საკითხს. ვიმეორებ, აღმასკომის წევრთა უმრავლესობის პოზიცია ვიცი — სეგრტი 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი აღარ უნდა იყოს. იცით, ის ფედერაციის ტექნიკური დირექტორიც გახლავთ და ეს სულ სხვა თემაა, ამ მხრივ მასთან პრეტენზიები ნაკლებად გვაქვს.

— სეგრტი თავის მართლებას ცდილობს, რუსეთსა და პოლონეთთან ძირითადი შემადგენლობის ცხრა ფეხბურთელი არ მყავდაო...

— ეს საფუძველს მოკლებული განცხადებაა. ფეხბურთელები, რომლებიც მას აკლდა, ეროვნული ნაკრების წევრები არიან. საქართველო არც პირველი და არც უკანასკნელია, სადაც ეროვნულ კლუბში 21 წელზე პატარა ასაკის ფეხბურთელები თამაშობენ. სეგრტი ბელარუსში წასვლამდე ამბობდა, რუსეთთან კარიერის მატჩი მელისო, სამარცხვინო წაგების შემდეგ კი განსხვავებული რაღაცები ილაპარაკა. ცალკე ფედერაცია გამოგვწვდა და, ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, თითქოს ყველა სამუშაოს თვითონ ასრულებს. მწვრთნელი მიდის კარიერის მატჩისთვის და იქიდან ოთხ დღეში 0:9 ჩამოაქვს...

— ფედერაციის ტექნიკური დირექტორის პოსტზე როდემდე აქვს სეგრტს კონტრაქტი?

— 2010 წლის დეკემბრამდე, თუმც ვიმეორებ, ეს სულ სხვა თემაა. აქ ლაპარაკი გვაქვს მისი მწვრთნელობიდან წასვლაზე და მიკვირს, როგორ არ ეყო სამწვრთნელო თავმოყვარეობა, რომ აქამდე არ გადადგა...

**ილია ნანობაშვილი**

# მარცვალაძე: გოლები და ავანსები



**კიევის** „დინამო 2"-მა ამხანაგურ მატჩში 1:0 სძლია თანაქალაქელ „არსენალს" და ეს ერთადერთი გოლი ოთარ მარცვალაძემ შეაგდო. მიჯრით მეორე თამაშია, 23 წლის ქართველს გააქვს და თან ძალიან ლამაზად — ამასწინათ ოთარმა „ანტარესს" შორიდან დაუქუხა, გუშინ კი „არსენალთან" ფლანგიდან ცენტრისკენ წაილო ბურთი, მცველს გასცდა და აუღებელი დაარტყა. ეს 75-ე წუთზე.

„დინამო 2"-ის მწვრთნელ იური კალიტვინცევს მარცვალაძეზე რომ ჰკითხეს, ასე უპასუხა: „მან უმძიმესი ტრავმები გადაიტანა, ახლა კი ისე თამაშობს, რომ ოდნავი პრეტენზიაც არ გაქვს. ოთარს ძალიან მოენატრა ფეხბურთი და ხომ ნახეთ, როგორი ენთუზიაზმით შრომობს. კარგია, რომ გოლები გააქვს, მაგრამ რომც არ გაეტანა, მისი თამაში მხოლოდ ქების ღირსია".

კიეველ „მეთოფეებთან" კალიტვინცევმა მარცვალაძე მეორე ტაიმში ათამაშა, დავით იმედაშვილი შესვენებამდე იყო მინდორზე, ლაშა თოთაძემ სრულად იბურთავა, კახა ალადაშვილი კი 72-ე წუთზე შეცვალეს.

კარგი იქნება, ამ ოთხი ქართველიდან ერთმა მაინც მალე შეაბიჯოს კიეველთა ძირითად გუნდში: სადღეისოდ ამის ყველაზე დიდი შანსი მარცვალაძეს აქვს.

**ილია ნანობაშვილი**



გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

რამდენიმე დღეც და, მე-20 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. გასულ სეზონში ახალციხის „მესხეთს" უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჰქონდა, ამ გუნდმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მეექვსე საფეხურზეც დამსახურებულად გავიდა. წლეულს ცნობილი მოვლენების გამო ახალციხელები ცუდ დღეში აღმოჩნდნენ, სანვრთნელი პროცესი ჩაუვარდათ და ფინანსების პრობლემებიც აწუხებთ. გუშინ „მესხეთის" პრეზიდენტ გია მესხელს გავესაუბრეთ...

# მესხეთი ბეწვზე გადარჩა

## დავეხმაროთ ბიზნესს, რათა დაგვეხმაროს

— სიმართლე გითხრათ, 10 დღის წინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში წერილის შეტანას ვაპირებდი, რომ ვერ მივიღებდით ჩემპიონატში მონაწილეობას. მადლობა ღმერთს, ბოლო დღეებში მოვიძიეთ ცოტა თანხა და „მესხეთიც" უმაღლესში გააგრძელებს თამაშს.

— რატომ გაჩნდა ფინანსური კრიზისი?

— შარშანდელთან შედარებით, მკვეთრად გაუარესდა მდგომარეობა. რაიონის გამგეობას, ფაქტობრივად, აკრძალული აქვს დახმარება. ბიზნესმენიც, თუ რაღაც შეღავათები არ მიეცა, ფულს ტყუილად რამდენჯერ გადაყრის?! ამ საკითხზე სახელმწიფომ სერიოზულად უნდა იმუშაოს, თორემ მალე საქართველოში საფეხბურთო კლუბი სანთლით საძებნელი იქნება. უკრაინაში სახელმწიფო დიდ შეღავათებს უწევს ბიზნესმენებს და ისინიც ფეხბურთში ამიტომ აბანდებენ ფულს.

— ასეთი მწირი დაფინანსებით როგორ აპირებთ ფეხბურთელთა დაყოლიებას?

— ფეხბურთელებთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს. მათ მდგომარეობა ავუხსენი და გაგებით მოეკიდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ იანვარში თურქი ბიზნესმენი დაგვაფინანსებს და იქამდე გვინდა მისვლა. ამ ეტაპზე ხელფასებს და პრემიების 30 პროცენტს მიიღებენ, შემდეგ კი დანარჩენსაც მივცემთ. ფაქტობრივად, გუნდი ნისიად ითამაშებს. ახლა რაც მთავარია, პირველ წრეში ცხრილის შუას არ უნდა ჩამოვცდეთ, თორემ შესაძლოა, თურქმა ბიზნესმენმა დაფინანსებაზე უარი თქვას.

— გუნდს, ფაქტობრივად, არ უვარჯიშია და ეს ძნელი იქნება...

— რა თქმა უნდა, უვარჯიშებლობა დაგვეტყობა. ჩვენ შეგვეძლო, წალკის გავლით ბორჯომში ჩავსულიყავით და შეკრება გაგვევლო, მაგრამ მორალურად მართლები არ ვიქნებოდით — ჩვენ სტადიონზე გვევარჯიშა, როცა ცხვირწინ ბორჯომის ტყეები იწვოდა?! მჯერა, რომ მეოთხე-მეხუთე ტურისთვის „მესხეთი" უკვე ფორმაში იქნება და დასახულ მიზანსაც მივაღწევთ.

— მიუხედავად სიდუხჭირისა, ერთი მოულოდნელი ტრანსფერი გაახერხეთ — ლადო ახალაია შეიმატეთ...

— ლადო ჩვენთან ზამთრამდე დარჩება და მისი დიდი იმედი გვაქვს. მან იცის ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები და ამას გაგებით მოეკიდა.

— სანამ ქვეყანაში არეულობა დაიწყებოდა, საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალი ვერ დაძლიეთ — პირველლიგელმა ფოთის „კოლხეთმა" გაჯობათ...

— იმ პერიოდშიც კლუბში ქაოსი იყო და ასეთი შედეგიც ამიტომ მივიღეთ. საპრეტენზიო არავისთან მაქვს. მე კმაყოფილი ვარ კობა თედიაშვილის მუშაობით და წლეულსაც ის უთავკაცებს „მესხეთს".

**ნუკრი ლოლაძე**

# ვიტ ჯორჯიას სახლი გორშია

**თბილისის** „ვიტ ჯორჯიას" საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ მცხეთის „არმაზი" დაუწუნა. სანამ სტადიონს რეკონსტრუქცია გაუკეთდება, ვეტერინარები მე-20 ეროვნული ჩემპიონატის საშინაო მატჩებს მცხეთაში ვეღარ ითამაშებენ.

გუშინ კი ასეთი სიახლე შევიტყვეთ — „ვიტ ჯორჯია" მეტოქეებს გორში, „თენგიზ ბურჯანაძეზე" უმასპინძლებს.

„ჩვენს სტადიონზე რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და საშინაო მატჩებს იქ ვერ გავმართავდით. გვქონდა რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გორში თამაში ვარჩიეთ. პირველი და, შესაძლოა, მეორე წრეც გორში ვითამაშოთ. მატჩებზე დასწრება უფასო იქნება" — გვითხრა გუშინ „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

**ნუკრი ლოლაძე**



# ოთხი წლის მერე: აფხაზავა გულით გარდაიცვალა...

**რუსულმა** „სპორტ-ექსპრესმა“ ინტერვიუ ჩამოართვა ტერექის „გროზნოს“ მწვრთნელ ვიაჩესლავ გროზნის. ალბათ ეს ინტერვიუ არც დაგვაინტერესებდა, რომ არა მასში ნახსენები აწ გარდაცვლილი ქართველი ფეხბურთელი შალვა აფხაზავა.

გეხსომებათ, აფხაზავა კიევის „არსენალში“ თამაშობდა და თურქულ შეკრებაზე გამგზავრების წინ სასტუმროში გარდაცვლილი ნახეს.

პერსპექტიული ფეხბურთელი საქართველოს ნაკრების კანდიდატი იყო და გროზნი ამ ფაქტსაც ახსენებს, თუმცა ჟურნალისტის შეკითხვა სხვა რამით იყო გამოწვეული...

— როდესაც თქვენ „არსენალს“ წვრთნიდით, გუნდში ორი ფეხბურთელი გარდაიცვალა. მაშინ გავრცელებული ხმებით, ეს აკრძალული პრეპარატების გამოყენების გამო მოხდა...

— მტკნარი სიცრუეა! შალვა აფხაზავა დაიღუპა გუნდის შეკრებაზე გამგზავრების წინ, როგორც კი სახლიდან სასტუმროში დაბინავდა. პირველი ის მეზობელ ნომერში მცხოვრებმა გელა შეყილაძემ აღმოაჩინა, რომელმაც დარეკა ექიმთან და უთხრა, რომ შალვა ვერ გააღვიძა. სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ აფხაზავას გულზე თანდაყოლილი პრობლემები ჰქონდა, რის თაობაზეც არავინ იცოდა. აფხაზავა საქართველოს ნაკრების კანდიდატიც იყო...

**ლუკა თალაკვაძე**

# თეთრაძე მაინც დარჩა

**„სარბიელის“** წინა ნომრებში ვწერდით, რომ მახაჩყალის „ანჟის“ მთავარი მწვრთნელი ომარ თეთრაძე გუნდს ტოვებდა. ამის თაობაზე თეთრაძემ კლუბის ხელმძღვანელობასაც განუცხადა და რუსულ მედიასაც, თუმცა პრეზიდენტ მაგომედსულთან მაგომედოვთან შეხვედრის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა და გუნდს სეზონის ბოლომდე უთავკაცებს.

„შუა გზაზე გუნდის დატოვება არ შეიძლებოდა, ამიტომ სეზონის ბოლომდე „ანჟიში“ დავრჩები. კლუბის პრეზიდენტთან ერთად ამჟამინდელი პრობლემები განვიხილეთ და სამომავლო გეგმაც დავსახეთ“ — განაცხადა გუშინ თეთრაძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# იბერია 2003 ერთ ნაბიჯში

**ჩეხეთში** დაიწყო უეფას თასის შესარჩევი ეტაპი ფუტსალში. თბილისის „იბერია 2003“-თან ერთად ჯგუფში მასპინძელი „ჰრუდინი“, ისრაელის „ჰაპოელი“ და ლიტვური „ნაუტარა“ არიან.

უკვე ორი ტურის მატჩები გაიმართა და „იბერია 2003“-ს ელიტ-რაუნდში გასვლის შანსი რჩება — საამისოდ თბილისელებმა დღეს „ჰრუდინს“ უნდა მოუგონ.

„იბერია 2003“-ს ვადამდეც შეეძლო ელიტ-რაუნდის საგზურის მოპოვება, მაგრამ პირველ ტურში „ნაუტარასთან“ მოგებული მატჩის შემდეგ „ჰაპოელთან“ დამარცხდა. არადა, მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე იგებდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

განვლილი ორი ტურის შედეგები ასეთია:

**I ტური**

**ჰრუდინი 2:2 ჰაპოელი**

0:1 შარვიტი (14), 1:1 პოპელკა (22), 2:1 სლუკა (23), 2:2 საბაგი (38)

**იბერია 2003 7:3 ნაუტარა**

0:1 ნემანისი (7), 1:1, 2:1 მუკადო (18, 19), 3:1 რონინიო (22), 4:1 და კოსტა (27), 5:1 ძამბირაძე (28), 6:1 ზოიძე (32), 6:2 ნემანისი (36), 7:2 ზოიძე (40), 7:3 შტეინასი (40)

**II ტური**

**ჰრუდინი 6:1 ნაუტარა**

1:0 რეშეტარი (9), 2:0 მ. მარეკი (11), 3:0 კროლიკი (18), 3:1 ივანჩევიჩუსი (28), 4:1 სლუკა (30), 5:1 კროლიკი (35), 6:1 ვლადიკა (36)

**იბერია 2003 2:3 ჰაპოელი**

0:1 ჩიკო (26), 1:1 მუკადო (27), 2:1 და კოსტა (29), 2:2, 2:3 კოენი (31, 34)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰრუდინი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:3 | 4 |
| ჰაპოელი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| იბერია 2003 | 2 | 1 | 0 | 1 | 9:6 | 3 |
| ნაუტარა | 2 | 0 | 0 | 2 | 4:13 | 0 |

**დღეს**

**ჰრუდინი — იბერია 2003**

**ნაუტარა — ჰაპოელი**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა

**აღმოსავლეთი**

**ამერი 2:0 კახეთი**

1:0 ქებაძე (41), 2:0 ჩიმაკაძე (43)

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, ჩიმაკაძე (ლ. ბოჯგუა 66), ტიკურიშვილი (ლაფერაშვილი 46), ნ. ქებაძე (ჯინიკაშვილი 73), სანიკიძე, ბენცელიანი

*სათადარიგონი: გვენცაძე, ა. ადეიშვილი, გ. ჯელაძე, გრძელიძე*

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

**კახეთი:** ქუფარაშვილი, მ. ხიდეშელი, ტარულაშვილი, მურველაშვილი (ი. ხუციშვილი 83), შავაძე, გენგაშვილი (დეკანოზიშვილი 76), ი. კობაიძე (ახალბედაშვილი 85), მელიქიშვილი, ლ. გიგაური, ბიძინაშვილი, ლ. ტეტიაშვილი

*სათადარიგონი: კობრიაშვილი, ბ. მჭედლიშვილი*

მწვრთნელი: გივი კობაიძე

გაფრთხილება: გვაძაბია

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

200 მაყურებელი

**თბილისი 1:1 დილა**

0:1 ფაილოძე (3), 1:1 კბილცეცხლაშვილი (70)

**თბილისი:** ხარშილაძე, სარაჯიშვილი, ლ. ტყებუჩავა, გ. ოდიშარია, ხოხონიშვილი, გურეშიძე, მიქელაძე (სებისკვერაძე 46), ზვიადაძე (ი. მოდებაძე 78), კბილცეცხლაშვილი (ი. დევდარიანი 86), ჯაში, ტორონჯაძე

*სათადარიგონი: გიორგობიანი, დ. ამისულაშვილი, სულუხია, ბელქანია*

მწვრთნელი: გელა გომელაური

**დილა:** კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი, შარანგია, დონდოლაძე, სორდია, ჩერქეზიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი (მაჭავარიანი 76), ქარდავა, ბარამიძე (ანდღულაძე 54), ფაილოძე (ი. თოდუა 83), იჩქითი

*სათადარიგონი: დგებუაძე, სადალაშვილი, გ. მეტრეველი, ებანოიძე*

მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

გაფრთხილება: ტყებუჩავა, ცოცხალაშვილი, თოდუა

მსაჯი: კ. ჭაჭუა

200 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 2 0:0 ჩიხურა**

**ვიტ ჯორჯია 2:** მიქაბერიძე, ხურცილავა (ზაქრაძე 84), ადამაძე, კასრაძე, ვეკუა, ვასაძე, ლანიაშვილი, ფურცელაძე (გამრეკლიძე 46), მაისაშვილი (დვალაშვილი 81), გ. ჯანელიძე, როსტიაშვილი

*სათადარიგონი: ლურბელეიშვილი, ლვინიაშვილი, გოგიაშვილი, ცხოვრებაძე*

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, ზივზივაძე, ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ი. ტყებუჩავა, დოლონაძე, ი. ზაბახიძე, ლ. ჩიკვაიძე (როგავა 71), ბ. პეტრიაშვილი (მაჭარაშვილი 84), მ. მიქაძე, ლ. კობახიძე (ზ. ნოზაძე 66)

*სათადარიგონი: დოლაძე, ხვედელიძე, გ. ენუქიძე, ცარციძე*

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ზივზივაძე, ლანიაშვილი, მიქაძე, მაისაშვილი

მსაჯი: ხ. გაგნიძე

100 მაყურებელი

**გაგრა 2 2:3 სიონი 2**

1:0 ხოკერაშვილი (17), 1:1 ჯიქიძე (45), 1:2 ალავიძე (51), 1:3 უგრეხელიძე (66), 2:3 სეთურიძე (73)

*ჩხეტიანმა ვერ გაიტანა პენალტი (33)*

**გაგრა 2:** კოტრიკაძე, სეფიაშვილი, ბ. ტიტუნაშვილი, ი. ხელაძე (ლ. სეთურიძე 46), თ. მეტრეველი, ლალიანი, კორიფაძე, სუხიშვილი (ნ. ფანცხავა 57), დ. ჩხაიძე, ხოკერაშვილი, ა. აბაშიძე (მესხი 22)

*სათადარიგო: გ. ნაჭყებია*

მწვრთნელი: თემურ ჩხაიძე

**სიონი 2:** გურგენიძე, ლ. ჩხეტიანი, ნაყოფია, იობაშვილი, გაბიძაშვილი, ა. ალავიძე (ალფაიძე 87), ბუბუტეიშვილი (მ. ჯაველაშვილი 90), უგულავა, ვ. უგრეხელიძე, ჯიქიძე (გიგინეიშვილი 78), მ. ოქრომპირიძე

*სათადარიგონი: გიორხელიძე, ბ. ჯაველაშვილი, გაბრიჭიძე, კ. ასათიანი*

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

გაფრთხილება: მესხი, ნაყოფია, გაბიძაშვილი

მსაჯი: ზ. ასკაროლლი

100 მაყურებელი

**ნორჩი დინამო 1:1 დინამო 2**

0:1 ჭადაშვილი (32), 1:1 გურაბანიძე (86)

**ნორჩი დინამო:** აზნიაშვილი, გურაბანიძე, კირვალიძე, ბოკუჩავა, ლ. ელიზბარაშვილი (ბ. მამარდაშვილი 46), გ. გრიგალაშვილი (ცინცაძე 61), ღვთისავრიშვილი, ლ. გაბუნია, მამედოვი (მეფარიძე 75), ქავთარაძე, ჩაფიძე

*სათადარიგონი: კ. ნაჭყებია, ლაბარტყავა, ა. შენგელია, ჩიხლაძე*

მწვრთნელი: მამუკა სვანაძე

**დინამო 2:** გ. ნადირაძე, კეკელია, კაჭკაჭიშვილი, გეთიაშვილი, გ. დარასელია, მამუჩიშვილი, ნემსაძე, გ. ქავთარაძე (კაკუბავა 72), ლავთაძე (ჩადუნელი 67), ი. სიხარულიძე (ჯოხაძე 54), ჭადაშვილი

*სათადარიგონი: კოპაძე, ქამუშაძე, ცერცვაძე, გ. ჩიკვაიძე*

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: მამედოვი, კირვალიძე, მამუჩიშვილი, ჭადაშვილი

მსაჯი: თ. გვანცელაძე

100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სიონი 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| დინამო 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| დილა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| თბილისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნორჩი დინამო | 1 | 0 | 1 | 1 | 1:1 | 1 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჩიხურა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჰერეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| გაგრა 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| კახეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**მეორე ტური**

13 სექტემბერი

დილა – ამერი

კახეთი – გაგრა 2

დინამო 2 – თბილისი

14 სექტემბერი

ჰერეთი – ვიტ ჯორჯია 2

ჩიხურა – ნორჩი დინამო

**დასავლეთი**

**ხობი 1:0 ტორპედო 2008**

1:0 ღლონტი (51)

**ხობი:** ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, ა. კვირკველია, ჯამბურია, ალანია, კ. გოგენია, ლეფსაია, სართანია (ვ. ფირცხალავა 46), ღლონტი, პაპავა (ლატარია 46; გაგუა 80)

*სათადარიგონი: ჭურღულია, მ. შონია, ჩაჩიბაია, გრიგოლია*

მწვრთნელი: ლევან ნოდია

**ტორპედო 2008:** მიგინეიშვილი, გურული, ბიბილაშვილი, ხარებავა, ჭანკვეტაძე, კოსტავა (ი. დარსაძე 78), დანელია, ბესარაშვილი, ბ. ჩხეტიანი, ქობალია (ე. მუშკუდიანი 55), კობერიძე (გოდერიძე 63)

*სათადარიგონი: კუჭუხიძე, რატიანი, წიქორიძე*

მწვრთნელი: კახა კარანაძე

გაფრთხილება: პაპავა, ბიბილაშვილი, ხარებავა, ღლონტი

გაძევება: კვირკველია (12)

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

200 მაყურებელი

**სამტრედია 1:2 კოლხეთი**

0:1 გოგნაძე (14), 1:1 ბაკურაძე (30), 1:2 გვიჩია (81)

**სამტრედია:** ი. შენგელია, გოგია, კვესიეშვილი, ა. ადეიშვილი, სამსიეშვილი, გ. თურმანიძე, ეცადეიშვილი (ი. შენგელია 62), ოქრუაშვილი, ჩომახიძე, ბაკურაძე, ბოხუა

*სათადარიგონი: კეკელიძე, გ. დარჯანია, ნინუა, გ. სტურუა, სუნიაევი, სალდაძე*

მწვრთნელი: მამუკა მესიაჩენკო

**კოლხეთი:** გ. შენგელია, ლუსტა, დ. ნარსია, ცხვიტარია, ლემონჯავა, ქომეთიანი, ჩხარტიშვილი, ო. შენგელია (გვალია 46), გოგნაძე, ბაკარანძე (ქანდავაძე 88), წიქარიშვილი (გვიჩია 46)

*სათადარიგონი: ჩემია, ციკოლია*

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: ოქრუაშვილი, ლემონჯავა, ლემონჯავა, შენგელია

გაძევება: ლემონჯავა (37)

მსაჯი: ი. ურუშაძე

200 მაყურებელი

**ჭიათურა 5:1 გურია**

1:0 ხაჭიპერაძე (42), 2:0, 3:0 სეფერთელაძე (51პ, 77), 3:1 ბეგოიძე (86), 4:1 ბრეგვაძე (88), 5:1 სევასტოპულო (90პ)

**ჭიათურა:** ბადურაშვილი, ბრეგვაძე, ბრუსლი, კევლიშვილი (ნ. ტყემალაძე 82), გ. ილურიძე (ვაშაძე 82), სეფერთელაძე, კ. ძაგანია, სევასტოპულო, გაფრინდაშვილი, ვ. ტყემალაძე (ხაჩიძე 79), ხაჭიპერაძე

*სათადარიგონი: ზ. დარჯანია, ცუცქირიძე, ჯაჯანიძე, გოგბერაშვილი*

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

**გურია:** აბრამიშვილი, რ. კუკულაძე, ქურიძე, გოგიბერიძე (დ. სიხარულიძე 46), წილოსანი, გ. იმნაძე (გ. ჩხაიძე 45), კილაძე, ბეგოიძე, ტ. კუკულაძე, კვერენჩხილაძე (ხ. მგელაძე 75), ურუშაძე

*სათადარიგონი: ჯორბენაძე, შეწირული*

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

გაფრთხილება: კვერენჩხილაძე, სიხარულიძე, ბეგოიძე

გაძევება: აბრამიშვილი (45)

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

500 მაყურებელი

**ბაია 4:0 მეშახტე**

1:0 ძალამიძე (57), 2:0 რაფავა (77), 3:0 ძალამიძე (83), 4:0 რაფავა (87)

**ბაია:** მაქაცარია, ზ. ექონია, გ. პაჭკორია, ჟვანია, ძალამიძე (ნ. შონია 84), ა. ბოკუჩავა (რაფავა 46), კუტალია (გუგუჩია 46), წურწუმია, ვართაგავა, ქირია, სვირავა

*სათადარიგონი: ივარდავა, ნ. კვიკვესკირი, ქობალია, კ. შონია*

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

**მეშახტე:** თორთლაძე (გიორგაძე 66), ყურაშვილი, დონაძე, მ. ბოჭორიშვილი, ჯიშიაშვილი, გვეტაძე, გოგუა, გობეჯიშვილი (წერეთელი 84), ლომთაძე (გ. გვენეტაძე 61), ავალიშვილი

*სათადარიგო: ჭელიშვილი*

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

200 მაყურებელი

**ზესტაფონი 2 0:0 ბათუმი**

**ზესტაფონი 2:** ძაძამია, შ. ღონღაძე, ზ. ლობჟანიძე, მაკარიანი, ბენაშვილი (სუხიაშვილი 78), ბუკია, გორგიაშვილი, ბერიძე, ჟონატასი (კვირიკეიშვილი 64), კეჭეყმაძე, კამლაძე (ლ. ცხადაძე 46)

*სათადარიგონი: ბერუაშვილი, ო. ბოჭორიშვილი, ლ. გაბრიჭიძე, ბ. ცხადაძე*

მწვრთნელი: გია ნადირაძე

**ბათუმი:** თოთლაძე, რამიშვილი, გოგიტაური, ფარტენაძე, გოგუაძე, გ. გოგიტიძე, ბ. მახარაძე, ტუღუში (გორჯელაძე 23; ქადიძე 76), მალაზონია (გალოგრე 69), დემურაძე, კალანდაძე, თ. კაკალაძე

*სათადარიგონი: ვ. მჭედლიძე, ზაქარეიშვილი, ჩხიკვიშვილი*

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: თოთლაძე, კეჭეყმაძე, დემურაძე

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 |
| ბაია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| კოლხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ხობი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბათუმი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ზესტაფონი 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 0:0 | 1 |
| მერანი (მ) | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სამტრედია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ტორპედო 2008 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| გურია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |
| მეშახტე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

**მეორე ტური**

13 სექტემბერი

კოლხეთი – ჭიათურა

მეშახტე – სამტრედია

მერანი – ზესტაფონი 2

14 სექტემბერი

ბათუმი – ხობი

ტორპედო 2008 – ბაია

## პარდომ მუხლი დაიშავა

**გერმანული** „შტუტგარტის“ ნახევარმცველმა პაველ პარდომ მუხლის მყესები დაიზიანა და მწყობრიდან გაურკვეველი დროით გამოვიდა. მექსიკელმა ტრავმა კანადასთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ მიიღო. საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ფეხბურთელი „შტუტგარტის“ ექიმებისგან კონსულტაციის მისაღებად გერმანიაში ჩაფრინდა.

## კვლავ ფაბიანუ და სიტი

**ზაფხულის** სატრანსფერო პერიოდში ინგლისურმა „მანჩესტერ სიტიმ“ ესპანურ „სევილიას“ ლუიშ ფაბიანუს გაყიდვის წინადადებით მიმართა, მაგრამ ტრანსფერი მაშინ ვერ შედგა: „სიტის“ ხელმძღვანელობას ბრაზილიელი ფორვარდის თავის გუნდში ხილვა სურდა, მაგრამ ფეხბურთელი „სევილიაში“ თავს კარგად გრძნობს.

„თუ „ქალაქელებისგან“ წინადადება კვლავ შემოვა, მაშინ კლუბის გადასაწყვეტია, უპასუხებს თუ არა“ — განაცხადა მოთამაშის აგენტმა ხოსე ფაბიანუმ.

## ჩერნატი კიევს დატოვებს

**რუმინეთის** ნაკრების ნახევარმცველმა ფლორინ ჩერნატმა განაცხადა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კიევის „დინამოს“ დატოვებს.

„კიევში საკმაო დრო გავატარე — 7 წელი, მრავალგზის გავხდი უკრაინის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ჩემპიონთა ლიგაში ვმონაწილეობდი, ახლა კი წასვლის დრო მოვიდა“ — აღნიშნა ფეხბურთელმა.

ჩერნატის თქმით, მას თურქული, ბერძნული და ესპანური კლუბები იწვევენ, საბოლოო გადაწყვეტილებას კი ზამთარში მიიღებს.

## ლუპატელი კუნძულელი გახდა

**სერია A-ს** „კალიარის“ რიგებში მეკარე კრისტიანო ლუპატელი ჩაირიცხა, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა. 30 წლის გოლკიპერმა სარდინიელებთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ლუპატელიმ გასულ სეზონში იტალიის ჩემპიონატში ფლორენციის „ფიორენტინას“ შემადგენლობაში ორი მატჩი ჩაატარა, სხვადასხვა დროს კი „რომას“ „კიევოს“, „პარმას“ და „პალერმოს“ რიგებშიც გამოდიოდა.

## პრობლემები გენუელთა ბანაკში

**გენუის** „სამპდორიას“ მცველმა პიეტრო აკარდიმ ორშაბათის ვარჯიშზე ბარძაყის ტრავმა მიიღო და შესაძლოა, „კაუნასთან“ უეფას თასის მატჩის გამოტოვება მოუწიოს. ლიტველებთან შეხვედრაში „ბლუჩერკატის“ უგო კამპანიარო და კლაუდიო ბელუჩიც ვერ დაეხმარებიან.

## სნეიდერმა ვარჯიში განაახლა

**აგვისტოში** მიღებული ტრავმის შემდეგ, მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველმა უესლი სნეიდერმა სამშაბათს პირველი ვარჯიში ჩაატარა. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ჰოლანდიელი ფეხბურთელი, რომელმაც ტრავმა ლონდონის „არსენალთან“ ამხანაგური შეხვედრისას მიიღო, მოედანზე გამოსვლას მხოლოდ ნოემბერში შეძლებდა, მაგრამ უესლისთვის მოვლენები უკეთესად განვითარდა.

## მერტეზაკერი ბრუნდება

**გერმანიის** ნაკრებისა და ბრემენის „ვერდერის“ მცველმა პერ მერტეზაკერმა ვარჯიში განაახლა. ფეხბურთელს მუხლის ტრავმა აწუხებდა, მაგრამ მისივე განცხადებით, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა: „ვარჯიშმა პრობლემების გარეშე ჩაიარა“.

რაც შეეხება „მუსიკოსთა“ დამრიგებელ თომას შააფს, მისი თქმით, აჩქარება საჭირო არ არის: „უპირველესად, უნდა დავრწმუნდეთ, რომ მერტეზაკერის მუხლი სერიოზული დატვირთვებისთვის მზად არის“.

## ვილიამ და ბოუმამ ახალი გააფორმეს

**ჰოლანდიის** ნაკრების მცველმა ვილფრედ ბოუმამ ბირმინგემის „ასტონ ვილასთან“ 2+1 სქემით ახალი ხელშეკრულება დადო. 30 წლის ფეხბურთელი ამჟამად კოჭის ტრავმას ირჩენს. ბოუმა „ვილა პარკზე“ 2005 წელს პსვ-დან გადმობარგდა.

## აეროფობი ადებაიორი

**ტოგოს** ეროვნული ნაკრები ზამბიაში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ჩასატარებლად ემანუელ ადებაიორის გარეშე გაფრინდა. ლონდონის „არსენალის“ თავდამსხმელის განცხადებით, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში იმგზავრებდა თვითმფრინავით, თუ გუნდთან ერთად ტოგოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც გაფრინდებოდა.

„ჩემი სიცოცხლე ჩემთვის ძალიან ძვირფასია და თუ ავიაკატასტროფა მოხდება, მაშინ ჩვენს პრეზიდენტთან ერთად ჩამოვვარდებით“ — თქვა ადებაიორმა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელის შიში რაღაც მოარულ ხმებს ეყრდნობოდა, რომელთა მიხედვითაც, თუ ეროვნული ნაკრები თვითმფრინავში ავიდოდა, აუცილებლად ავიაკატასტროფა მოხდებოდა“.

**არჩილ კოპაძიძე**

# მანჩინი დაჯილდოვდა



**როპერტო მანჩინიმ** ტომაზო მაესტრელის სახელობის 2008 წლის ჯილდო მოიპოვა, რომელსაც უკვე 29 წელია, სერია A-ს საუკეთესო მწვრთნელს გადასცემენ. ეს ჯილდო 1976-ში, ანუ „რეჯინას“, „ფოჯასა“ და „ლაციოს“ ცნობილი მწვრთნელის გარდაცვალების წელს მისი ხსოვნის საპატივცემულოდ დაწესდა.

„ბრწყინვალე მწვრთნელის სახელობის ჯილდოს მიღება ჩემთვის დიდი პატივია. როგორც „ლაციოს“ ექსფეხბურთელისა და მწვრთნელისთვის ამ ჯილდოს მოპოვება ორმაგად სასიამოვნოა. როცა „ინტერში“ მივედი, ეს კლუბი უკვე ძლიერი იყო, და ახლაც ასეა. „ნერაძური“ სკუდეტოსთვის ბრძოლაში მთავარი ფავორიტია, მას კონკურენციას „მილანი“ და „იუვენტუსი“ გაუწევენ“ — თქვა „მანჩომ“.

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის ბოლოს მანჩინი „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მოხსნეს და მას მერე რობერტო უმუშევარია. პრესა ახალგაზრდა სპეციალისტს ხან ერთ კლუბს უკავშირებს და ხან მეორეს, მაგრამ თავად „მანჩომ“ განაცხადა, კონკრეტული ჯერ არაფერია და ჩემს მომავალზე ვერაფერს გეტყვითო.

**კოკი კანდელაკი**





**ჩოგბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!**

ა.წ. 12, 13, 14 სექტემბერს „ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის“ კორტებზე ჩატარდება ბიზნესმენთა ღია ტურნირი „რაკიინის თასზე“. ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს განურჩევლად მისი საქმიანობისა.

ტურნირში მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ მოგვაწოდოთ განაცხადი 11 სექტემბრამდე ფაქსზე: 953704; 95 27 81 ან E-MAIL: GTF@GOL.GE

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 953800; 952781

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კაცი ბიბლიით

## თუ დიმიტარ ბერბატოვი გიღრიალებთ, არ გეწყინოთ

**დიმიტარ ბერბატოვმა** მანჩესტერელი ფანები დაამშვიდა — ალექს ფერგიუსონს ჩემთან პრობლემა არ ექნება, დისციპლინის დარღვევა არ მჩვევიაო. რამდენადაც ცნობილია, განრისხების წუთებში სერ ალექსს, ქვეშევრდომების შეჯორვისას, ცნობილი ინგლისური „ფაქის" მრავალმხრივი ტრიალი უყვარს, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ: ბერბატოვზე ამბობენ, ერთ ყბაში თუ გაარტყამ, პასუხს კი არ გაგცემს, მეორეს მოგიშვერსო.

ისე, მანამდე ბერბატოვზე საპირისპიროსაც ბევრს ამბობდნენ. კერძოდ, მის თვინიერ ხასიათში ეპარებოდათ ეჭვი. შორს წასვლა არ არის საჭირო, ბულგარელმა თავდამსხმელმა „კლანჭები" „ტოტენჰემიდან" „მანჩესტერში" გადასვლის დროსაც გამოამჟღავნა. შეუძლებელი იყო, თვალში არ მოგხვედროდათ, როგორ აიძულა ბერბატოვმა ლონდონელებს მანჩესტერში მისი გაყიდვა. და, სხვათა შორის, არც თავად ფორვარდი უარყოფს, რომ მის ცხოვრებაში იყო პერიოდი, როდესაც აწყვეტილი „ლიანდაგიდან გადავიდა", თუმცა, იქვე დასძენს, რომ ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა.

27 წლის „ბერბა", რომელიც სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს 30,75 მილიონ გირვანქად გაიყიდა, ასე ამბობს:

„სიჯიუტის გამო ცხოვრებაში ბევრი სისულელე ჩამიდენია. მაგალითად, მშობლების რჩევისთვის არ დამიგდია ყური, შემდეგ კი გასულა დრო და გარკვეულა, რომ ისინი მართლები იყვნენ. დღეს აშკარაა, რომ ისინი ყოველთვის მართლები იყვნენ. მამაჩემი ყოველთვის იმას ჩამჩიჩინებდა, თავი ყინჩად არასდროს დაიჭიროო. მას ეს სიტყვები იმდენჯერ უთქვამს, რომ დღესაც ყურში ჩამესმის და ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეხმარება. როდესაც უნებურად ზედმეტი მომდის, გონებაში წითელი შუქი მენთება.

ხშირად, ისეთი რამ გამიკეთებია, რომ შემდეგ შემრცხვენია. უამრავჯერ მიტრაბახია, რომ დიმიტარ ბერბატოვი ვარ და ამის უშნო აფიშირება მომიწყვია, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, მამაჩემის შეგონებაც ხშირად ჩამესმის გონებაში.

გარდა ამისა, მე რელიგიური ადამიანი გახლავართ და სადაც მივდივარ, ყველგან ბიბლია მიმაქვს. ჩემნაირი ადამიანებისთვის წმინდა სახარებაში უამრავი კარგი რჩევა წერია".

კიდევ ერთი საინტერესო თემა გინებაა. დასამალი რაა და ფეხბურთი ის სფეროა, სადაც გინებას არად დაგიდევენ, თუმცა დიმიტარ ბერბატოვი გულზე ხელს იდებს და ამბობს, რომ არასდროს იგინება.

„გინება უბრალოდ ცუდი და კარგი აღზრდის საკითხია. მე მოედანზე კი არა, საერთოდ, დღის განმავლობაშიც არ ვიგინები. ბევრი ბულგარელისგან განსხვავებით, ყოველ მეორე სიტყვაში „და მუ ება მიაკატას" (შენი დედა ...) არ ვიძახი. ვცდილობ, ყველგან ყველაფერი კულტურულად გავაკეთო, მარტო მოედანზე კი არა და თუ ახალგაზრდობას კარგ მაგალითს მივცემ, ბედნიერი ვიქნები.

მართალი რომ გითხრათ, ხანდახან, ფეხბურთის თამაშისას წყობიდან გამოვდივარ და საკუთარ თანაგუნდელებს ისე ვუყვირი, რომ მათ წყინთ, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთი ვარ და მორჩა. მერედა, მათ ხშირად ვეუბნები, თუ საყვირალი იყოს, თქვენც მიყვირეთ, არ მოგერიდოთ-მეთქი. მე მაგაზე გული არ მომივა. ეს ყვირილი თამაშის ნაწილია, ხოლო როდესაც თამაში მთავრდება, ეს ამბავიც წარსულს ბარდება.

სამწუხაროდ, ხანდახან ვატყობ, რომ ზოგს წყენა გასდევს. ისინი ვერ ხვდებიან, რომ მე ამ ყვირილით სტრესისგან ვიცლები".

**ბაჩუნა ძიძია**

# დიდი, ძალიან დიდი პრობლემა



**მიკაელ ესიენი** დაზაფრულია — ის დაშავდა და, სავარაუდოდ, ექვს თვეს ველარ ითამაშებს. ამ ინფორმაციას, რომელიც გარდა მოთამაშისა, კლუბისთვისაც ფრიად სამწუხაროა, „ჩელსიც" ადასტურებს. „ლურჯების" ოფისი აცხადებს, რომ ესიენს გაწყვეტილ ჯვარედინ მყესზე ოპერაცია სჭირდება.

ეს ამბავი გასულ პარასკევს მოხდა, როდესაც მშობლიური განის ნაკრებში გამოძახებული ვარსკვლავი ლიბიასთან შეხვედრაში მონაწილეობდა. განელებმა ლიბიელებთან 0:1 წააგეს. ეს იყო მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა.

„გულგახეთქილი ვარ, მაგრამ ასეთი რაღაცები ფეხბურთში ხდება — განაცხადა მოგვიანებით ესიენმა — ორთაბრძოლა არ ყოფილა, მაგრამ ჩაკიდებული ბურთის ჩასაჭრელად ავხტი და მოედანზე რომ დავეშვი, მწვავე ტკივილი ვიგრძენი. საშინლად მწყდება გული, რომ „ჩელსისთვის" უმნიშვნელოვანესი სეზონის პირველ ნახევარს გამოვტოვებ. მონაწილეობას ვერ მივიღებ განის ნაკრების შესარჩევ კამპანიაშიც. ახლა, ერთადერთი, სწრაფი და სრულყოფილი გამოჯანმრთელების იმედად ვარ".

მოსალოდნელია, რომ ესიენი, რომელიც „ჩელსიმ" 2005 წელს „ლიონისგან" 24,4 მილიონ გირვანქად შეიძინა, ოპერაციას საფრანგეთში გაიკეთებს.

„ჩელსის" ოფიციალურ განცხადებაში კი წერია:

„სრული გამოჯანმრთელება უახლოეს თვეებში მოსალოდნელი არ არის. ოპერაციას ერთი კვირის ვადაში ვვარაუდობთ".

ესიენის დაშავებამ, ბუნებრივია, პრობლემები წამოუჭრა „ლურჯების" თავკაც ლუიშ ფელიპე სკოლარისაც, რომელსაც, სავარაუდოდ, იანვარში, როდესაც სატრანსფერო ფანჯარა ხელახლა გაიღება, ახალი მოთამაშე ეყოლება საყიდელი, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, იანვრამდე მისვლაა საჭირო. ბრაზილიელ მწვრთნელს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ამაზე უარეს დროს ნამდვილად ვერ გამოაკლდებოდა. თავად განსაჯეთ, მომავალ სამშაბათს „ჩელსის" უკვე ჩემპიონთა ლიგის თამაში აქვს, ლონდონელები „ბორდოს" ხვდებიან, შემდეგ კი პრემიერლიგის მორიგ ტურში, კვირადღეს, არც მეტი, არც ნაკლები, „მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობენ.

ესიენის ტრავმის ამბავი მისმა საუკეთესო მეგობარმა, განელმა სტეფან აპიამაც უამბო ჟურნალისტებს:

„გასახდელში შემოსული მიკაელი ცრემლებს ვერ იკავებდა. ეს ტკივილის ბრალი იყო, იმდენად მწვავედ სტკიოდა ფეხი.

მერწმუნეთ, ის ბავშვივით ტიროდა და ყველას გული მოგვიკლა. მე კარგად ვიცი, რასაც გრძნობდა იმ წუთას. ყველანაირად ვცდილობდი გამემხნევებინა, ვეუბნებოდი, რომ მთელი გუნდი მის გვერდით ვიყავით. შემდეგ, კარგა ხანს ველაპარაკე. ვფიქრობ, მას ესმის, რომ ამ ცხოვრებაში აღმასვლას დაღმასვლა მოსდევს. ადამიანს აუცილებლად აქვს რთული პერიოდები და სწორედ ამ დროს არის სიმტკიცე საჭირო. მოვუწოდებ „ჩელსის" ფანებსა და განელ გულშემატკივარს, მიკაელს დიდი მხარდაჭერა აგრძნობინონ".

ესიენის აგენტი ფაბიან პივეტო:

„როგორც ვატყობ, დიდ პრობლემასთან გვაქვს საქმე. ძალიან დიდ პრობლემასთან".

**ბაჩუნა ძიძია**

# გამოჯანმრთელდა?




**„ლივერპულის"** მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა ინგლისელი ქომაგები გააბრაზა. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა მისი განცხადება, რომ მერსისაიდელთა კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა შაბათს, პრემიერლიგის მორიგი ტურის შეხვედრაში, „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ შესაძლოა ითამაშოს.

შეგახსენებთ წინაისტორიას: „ლივერპულის" ესპანელმა თავკაცმა ჯერარდი საზარდულის მცირე ოპერაციის გასაკეთებლად მაინცდამაინც ნაკრების თამაშების წინ დააწვინა საავადმყოფოში. არადა, მოგეხსენებათ, ინგლისელებს 2010 წლის მუნდიალის ორი შესარჩევი მატჩი ჰქონდათ, რომელთაგან ერთი, ანდორასთან, შედარების იოლი იყო, მეორე, ზაგრებში ხორვატების წინააღმდეგ კი საუკეთესო ძალთა სრულ მობილიზებას მოითხოვდა.

მაგრამ, ბენიტესმა აიჩემა, რომ ჯარადისთვის ოპერაციის მაინცდამაინც ამ დღეებში გაკეთებას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და ფანების დასაწყნარებლად ისიც კი დასძინა, რომ ნაოპერაციევი ჯერარდი ვერც „ლივერპულის" შემადგენლობაში ითამაშებდა „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ, მაგრამ დახეთ, როგორ იცვლება ბენიტესის საუბრის ტონი:

„ჯერარდის გამოჯანმრთელების საქმე კარგად მიდის, ასე რომ, ვერავინ იტყვის, რა იქნება რამდენიმე დღის შემდეგ. მთავარი ფეხბურთელის განწყობაა, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ იგრძნობს ის თავს ფსიქოლოგიურად".

ამ შეხვედრაში არ არის გამორიცხული თავდამსხმელის, ფერნანდო ტორესის თამაშიც — ესპანელმა ფორვარდმა 10 დღის წინ ორთავა კუნთი იტკინა.

ბენიტესი: „და მაინც, მოდი, თავი შევიკავოთ, პირდაპირ ნუ ვიტყვით, როდის შეძლებენ ტორესი და ჯერარდი თამაშს".

**ბაჩუნა ძიძია**

# ვინ უკარნახა ლაპორტას გვარდიოლა?



**ამ ზაფხულს კინალამ გადაყენებულმა „ბარსელონას" პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ, კატალონიურ „სპორტთან" ინტერვიუში გაამხილა, რომ ხოსეპ გვარდიოლათი ფრანკ რაიკარდის შეცვლა გასულ ზამთარს, იოჰან კრუიფის რჩევით გადაწყვიტა**

**— ჩემპიონატის მარცხით დაწყებამ თქვენზე როგორ იმოქმედა?**

— მოგებით დაწყება სჯობდა, მაგრამ ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი. „ნუმანსიასთან" წაგება გაკვეთილია და შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ. ეს შედეგი უფრო დაგვეხმარება, ვიდრე გვავნებს. მთავარია, ჩემპიონატს როგორ დავასრულებთ და არა ის, თუ როგორ დავიწყეთ.

**— ოღონდ ნუ იტყვით, რომ „ნუმანსია" ძალიან ძლიერი მეტოქე იყო...**

— ამ მოულოდნელი მარცხიდან ჩვენთვის მხოლოდ დადებითი დასკვნების გამოტანა მინდა. „ბარსა" ყოველთვის თავის ფეხბურთს თამაშობს და საკუთარ სისტემას არ ღალატობს. ფეხბურთელებს და მწვრთნელს ამაზე უკვე ვესაუბრე.

**— მატჩის შემდეგ ფეხბურთლებს გასამხნევებლად რა უთხარით?**

— ვუთხარი, რომ რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, თავაწეულებმა წინ უნდა ვიაროთ და ჩემპიონატის დასასრული ანეკდოტად მოგვეჩვენება.

**— ახალი, ანუ „გვარდიოლას პროექტის" წაგებით დაწყება პრობლემებს ხომ არ შეგიქმნით?**

| 19:30 | 393 | ვპს-ინტერი | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 19:30 | 394 | კუოპიო-მარიეჰამნი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | 15 სექტემბერი | | | | | | |
| 20:00 | 395 | ლაჰტი-მიუპა | 2.40 | 3.25 | 2.75 | 1.38 | 1.28 | 1.48 |
| | | ირლანდია. 1 დივიზიონი | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 613 | დანდალკი-კილდარე | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 22:45 | 614 | ლიმერიკი-შელბურნი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 22:45 | 615 | უოტერფორდი-მონაგანი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 22:00 | 616 | ლონგფორდი-ათლონე | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |

# ირაკლი ცირეკიძე ჩაბინიანდა

## ხაბარელი ყურადღებას ითხოვს

**გუშინ** საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე სამშენებლო კომპანია „სასკომ" ბინით დაასაჩუქრა. შეგახსენებთ, რომ ორიოდ დღის წინ კომპანია „აქსისმა" ირაკლი ცირეკიძეს დიდუბეში აჩუქა ბინა. ამასთან ერთად პრესკონფერენციამ მრავალმხრივი განვითარება მიიღო. ძიუდოს ფედერაციის მესვეურებმა განვლილი სეზონის შედეგები შეაჯამეს, ხოლო ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა სპეციალური განცხადება გააკეთა. გია ნაცვლიშვილთან ერთად პრესკონფერენციაზე საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავჯდომარე დავით ნამგალაურმა, კომპანია „სასკოს" წარმომადგენელმა გიორგი სიჭინავამ და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ირაკლი ცირეკიძემ ისაუბრეს.

*დილარ ხაბულიანი:* ოლიმპიადის შემდეგ ეს ჩვენი პირველი შეხვედრაა. ჩვენი ფედერაციის და ქართველი გულშემატკივრების სახელით ირაკლი ცირეკიძეს ოლიმპიურ ჩემპიონობას ვულოცავ. მან საქართველოსთვის მძიმე დღეებში ნამდვილი გმირობა ჩაიდინა. ირაკლი ერთადერთი ძიუდოისტი იყო ოლიმპიადაზე, რომელმაც წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიგო და ასევე ოლიმპიურ ოქროსაც დაეუფლა. ამ მხრივ ირაკლი საქართველოს ძიუდოს ისტორიაშიც გამორჩეულია. ფედერაციის წარმომადგენლებს ვესაუბრე და დიდი შანსია, რომ ცირეკიძე წლის საუკეთესო ძიუდოისტად დასახელდეს. ოლიმპიადაზე წასვლამდე ირაკლის შევპირდით, რომ საცხოვრებელ პირობებს გავუუმჯობესებდით და თბილისში გადმოვიყვანდით, რათა ნაკრების მწვრთნელებთან უფრო ახლოს ყოფილიყო. ამაში ჩვენ კომპანია „სასკო" დაგვეხმარა და ოლიმპიური ჩემპიონი მოსკოვის გამზირზე ბინით დაასაჩუქრა.

რაც შეეხება ოთხწლიანი მოსამზადებელ ციკლში ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოს, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. საქართველოს ნაკრებს ამ ხნის განმავლობაში არანაირი მატერიალური პრობლემა არ შექმნია. ამისთვის მადლობას სპორტის დეპარტამენტს ვუხდი. საქართველოს მასშტაბით ბევრი სავარჯიშო დარბაზი გაკეთდა და თბილისში აშენდა ძიუდოს სავარჯიშო ცენტრი.

*გია ნაცვლიშვილი:* მინდა, გავაკეთო განცხადება, რომელიც ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნებში ჩემს მონაწილეობას ეხება. შეიძლება იფიქრონ, რომ მომავალში ძიუდოს მთავარი ლობისტი გავხდები და ამ მხრივ ფედერაციებთან მუშაობისას ტენდენციური აღმოვჩნდები. ეჭვების გასაბათილებლად გადავწყვიტე ამჟამად დაკავებული თანამდებობიდან გადავდგე, ანუ ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტს ვტოვებ.

*დავით ნამგალაური:* მინდა, ირაკლის ჩემპიონობა მივულოცო. მისი გამარჯვება ძიუდოს ფედერაციას და ქართველ ხალხს ეკუთვნის. მან პეკინში უმაღლესი ხარისხის მედალი აიღო, მაგრამ ნაკრების შემადგენლობას რომ გადავხედოთ, უფრო მეტის მიღწევა შეიძლებოდა. ირაკლიმ კი ეს ჯილდო სრულიად დაიმსახურა. დიდი მადლობა მას და ასევე შოთა ხაბარელს, რომელმაც კოლოსალური შრომა გასწია.

ბოლოს *შოთა ხაბარელმა* ითხოვა სიტყვა: სასიამოვნოა ჩვენი შეხვედრა. მადლობა კომპანია „სასკოს". მე და ჩემმა ბიჭებმა ოთხი დატვირთული წელი გავიარეთ. მართალი გითხრათ, ოლიმპიადაზე მე გაცილებით მეტს მოველოდი, მაგრამ რომ არა ის დაძაბული სიტუაცია, რომლის დროსაც ძიუდოისტებს ოლიმპიადაზე მოუწიათ გამოსვლა, ალბათ მეტსაც მივაღწევდით. გასაგებ მიზეზთა გამო ჩვენ იქ ძალიან მძიმე დღეები გადავიტანეთ. ამასთან ერთად მინდა, ჩემი გულისტკივილი გაგიზიაროთ. ვფიქრობ, რომ ზოგადად მწვრთნელებს ნაკლები ყურადღება ექცევა, არადა, ყველა ჩემპიონი, რომლებმაც საქართველოს ასახელეს, ჩვენი გამოზრდილი და გამოძერწილია. კარგი იქნება, თუ მწვრთნელებს სათანადო ყურადღებას მიაქცევენ.

**ზურაბ მიგრიაული**




დილარ ხაბულიანი, დავით ნამგალაური და ირაკლი ცირეკიძე





საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი და სეოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი გია ნაცვლიშვილი

# პრეზიდენტობის კანდიდატი ჟურნალისტებთან

## ნაცვლიშვილი ლონდონში ოქროებს აორმაგებს

*საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ახალ პრეზიდენტს ოქტომბერში ყრილობაზე აირჩევენ. მანამდე კი პრეზიდენტობის ხუთ კანდიდატს — გია ნაცვლიშვილს, ლევან ახვლედიანს, კახა ბასილიას, ლერი ხაბელოვსა და ბექან ხურციძეს — საშუალება აქვთ, ფედერაციებს ესტუმრონ და საკუთარი გეგმები გააცნონ, რომლებსაც გაპრეზიდენტების შემთხვევაში განახორციელებენ.*

*გუშინ სპორტის დეპარტამენტში გია ნაცვლიშვილი სპორტულ ჟურნალისტებს შეხვდა და, როგორც ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა გვითხრა, იგი პირველია, ვინც თავად გამოთქვა ჟურნალისტებთან შეხვედრის სურვილი. ამის მერე სიტყვა* **გია ნაცვლიშვილმა** *აიღო და ვრცლად ისაუბრა თავის გეგმებზე:*

— ჩემი ურთიერთობა ჟურნალისტებთან ყოველთვის ღია იყო. არასდროს არაფერს არ ვმალავდი. ძალიან საინტერესოა ჟურნალისტების აზრი და მათ მოსაზრებებს ყურადღებით მოვისმენ. სხვათა შორის, სპორტული ჟურნალისტები კომპეტენტურები ხართ. თქვენგან ბევრ რამეს ვიგებ ხოლმე ისეთს, რაც არ ვიცი...

ჩემს პროგრამაზე არჩევნების წინ დეტალურად ვისაუბრებ, თუმც ახლაც შემიძლია, ძირითად პრიორიტეტებს შევეხო. პეკინში სამი ოქროს მედალი ავიღეთ ჭიდაობის და ძიუდოს სახეობებში, საიდანაც ველოდით კიდეც მედალს. მეტის გაკეთება ძალიან გაგვიჭირდებოდა. წარმოიდგინეთ, ძიუდოში ოთხმილიონიანმა ქვეყანამ ოქრო აიღო, როდესაც 50 და 100 მილიონიანი ქვეყნები ისე დარჩნენ. ნამდვილად ყურადღებით ეკიდებიან იმ მომენტს, რომ როცა შენ ერთი მედალი გაქვს, მეორე სხვა, უფრო დიდმა ქვეყანამ აიღოს. აგერ, რუსეთი სულაც ისე დარჩა და ეს მახარებს, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციას სურს, რუსეთში პოპულარული იყოს ეს სახეობა. იქ მილიონობით ადამიანი ცხოვრობს და უამრავი კიმანო, ტატამი გაიყიდება... იმის თქმა მსურს, რომ პრიორიტეტი ამ სახეობებთან ერთად სხვაც უნდა იყოს, თუ გვინდა, მედლების რაოდენობა გავზარდოთ და სწორედ ამას ვგეგმავ. ლონდონში 5-6 ოქროს მედლისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ოღონდ ეს ყველაფერი ერთობლივი მუშაობით უნდა მოხერხდეს. საჭიროა, რომ შენარჩუნდეს ის სტრუქტურა, რაც დღეს არსებობს, კერძოდ, ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის დეპარტამენტი და ფედერაციები. სამივე სტრუქტურის კარგი ფუნქციონირებით მოხერხდება სასურველი შედეგების მიღება და ამ ეტაპზე ასეთი ფუნქციონირების სტილს საუკეთესოდ ვთვლი. ახლა გეტყვით იმ სპორტის სახეობებს, რომლებმაც დიდი შანსია, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე მედალი მოგვიტანონ. ჭიდაობა და ძიუდო უკვე ვთქვი.

ძალოსნებისგან ლონდონში ბევრს ველით. არსენ კასაბიევი მართლაც უნიჭიერესი ბიჭია. მას დაველაპარაკები და იმედი მაქვს, რომ მომდევნო ოლიმპიადაზე ჩვენი სახელით იბრძოლებს. პეკინში მისი ჩემპიონობა მოულოდნელი იქნებოდა, თუმც ლონდონში არსენი რეალურად იბრძოლებს ოქროს მედლისთვის. ნიჭიერი ბიჭია ალბერტ კუზილოვიც.

ბატუტზე მხტომელი ლუბა გოლოვინასიც ძალიან გვეიმედება. ლუბა პეკინში რვა საუკეთესო სპორტსმენს შორის მოხვდა. ამ რვა ბატუტისტიდან ოთხი-ხუთი გამოცდილი დაანებებს თავს სპორტს. გამოდის, რომ ლუბა ერთი მთავარი ფავორიტი იქნება ლონდონში.

ბევრს ველით კრივიდან. აქამდე თუ ამერიკის და კუბის ჰეგემონია იყო, პეკინში გამოჩნდა, რომ მთლად ასეც არაა საქმე, სხვა ქვეყნებმა ბლომად მედლები წაიღეს. თან გავითვალისწინოთ, რომ კრივში 11 მედალი თამაშდება. ამ სახეობაში გვაქვს ტრადიციები და მედლებისთვის ბრძოლა შეგვიძლია. ძალიან მინდა, რომ ლონდონში სათამაშო სახეობაშიც გვყავდეს გუნდი. მართალია, პლაჟის ფრენბურთში მივიღეთ მონაწილეობა, მაგრამ უფრო მასშტაბურ სახეობას ვგულისხმობ.

ჩვენი არჩევანი აქ წყალბურთზე შეჩერდა. ნამდვილად არის იმის პოტენციალი, რომ ოლიმპიადის საგზური მოვიპოვოთ.

გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. წყალბურთი აზიასა და აფრიკაში ფაქტობრივად არ არის. ოლიმპიადაზე იყო ავსტრალიის, ბრაზილიისა და აშშ-ს ნაკრებები და ისინიც არ წარმოადგენენ სერიოზულ ძალას. ანუ ძირითადად ნაკრებები ევროპიდან მოდიან — უნგრეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნები.

გვინდა, რომ ჩამოვიყვანოთ რევაზ ჩომახიძე, ვინც თავიდან მოთამაშე მწვრთნელი იქნება. ვგეგმავთ აუზის კეთილმოწყობას, რომელიც ორთაჭალაშია და საერთოდაც ყველანაირად შევუწყობთ ხელს. ჩომახიძე თანახმაა და გვჯერა, ეს გამოცდილი წყალბურთელი ძალიან დაგვეხმარება.

ასე რომ, გეგმები ბევრი გვაქვს და ამ საქმეში ჟურნალისტების დახმარება მნიშვნელოვანია. კარგი იქნება, თუ შედარებით ნაკლებად პოპულარულ სპორტის სახეობებს წამოვწევთ წინა პლანზე. ეს დიდად წაადგება ქართულ სპორტს.

**ლექსო მაისურაძე**

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება დილის 11 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.



ეროვნული ბიბლიოთეკა





სამახსოვრო ფოტო: რონალდინიო საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურთან და პრეს-ცენტრის უფროს გიორგი ჭანიშვილთან ერთად



# ექსკლუზიური გასეირნება

**ოლიმპიური** თამაშების დროს პეკინის ოლიმპიურ სოფელში 11 ათასამდე სპორტსმენი თანაბარ პირობებში ცხოვრობდა, პოპულარულიც და უცნობიც, სახელმოხვეჭილიც და მთლად დებიუტანტიც. მათ შორის იყვნენ ისეთი სუპერ-ვარსკვლავებიც, რომელთა გამოჩენა უზარმაზარ ყურადღებას იწვევდა. მსოფლიო დონის სპორტსმენების გადაადგილება შეძლებისდაგვარად გასაიდუმლოებული იყო. არავინ იცოდა, თუ როდის და რომელი გზით მივიდოდნენ ვთქვათ სადილად რონალდინიო ან კობი ბრაიანტი, თუმცა სრულ იზოლაციაში ვერც ისინი იქნებოდნენ და ამიტომ მათი ნახვის შანსი რეალური იყო, უბრალოდ უნდა გაგმართლეობოდა.

როგორც საქართველოს ოლიმპიური ნაკრების პრეს-ატაშე, ქართველ სპორტსმენებთან ერთად ოლიმპიურ სოფელში ვცხოვრობდი და ჩვენი დელეგაციის ავან-ჩავანზე რომ არაფერი ვთქვა, იმ ყველაფრის ნახვის შესაძლებლობა მქონდა, რაც ზოგადად ოლიმპიური სოფლის შიდა სამზარეულოში ტრიალებდა.

რა იყო ეს შიდა სამზარეულო? მაგალითად ის რომ ერთ მშვენიერ დილას თუ გვარიანად გაგიმართლებდა, სასადილოში ხილის დახლთან შესაძლოა გვერდიგვერდ ყოფილიყავი რაფაელ ნადალთან, მანუ ჯინობილისთან, ელენა ისინბაევასთან, ან საერთაშორისო სამზარეულოს განყოფილებაში შენს გვერდით აელო ვთქვათ ჩაშუშული ღორის ხორცის კერძი პაუ გასოლს, ხოლო „მაკდონალდსის“ გაყოლებაზე ჩაევლო კრის ბოშს, ან სულაც რონალდინიოს... ეს თავად რაც ვნახე ისინი ვახსენე, თორემ სხვამ ალბათ მაიკ ფელპსიც დალანდა, უსეინ ბოლტიც, კობი ბრაიანტიც და ლიონელ მესიც.

რონალდინიოსთან შევჩერდეთ, რაკი ყველაზე დიდი ინტერესი ოლიმპიურ სოფელში სწორედ „მილანელი“ ბრაზილიელის „კიჟას“ გამოჩენამ გამოიწვია. როგორც გავიგე, არანაკლები ინტერესი კობი ბრაიანტის ვიზიტსაც ახლდა, იაო მინზე რომ არაფერი ვთქვათ, თუმცა ჩემდა დასანანად ვერც მინს და ვერც კობის სოფელში ვერსად გადავეყარე, რონალდინიოს კი...

ბრაზილიელი ვარსკვლავის სოფელში სტუმრობის მთლად გადალების შანსი მომეცა და აბა ამ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ნახევარფინალური მატჩი წინ შენიანგიდან პეკინში ჩამოსული ბრაზილიის ნაკრები და რონალდინიო ოლიმპიურ სოფელში რამდენჯერმე ვნახე. პირველი შეხვედრისას, ფოტოაპარატი თან არ მქონდა და სანამ სახლში აპარატის მოსატანად გავიქეცი, უამრავხალხშემოჯარული ბრაზილიელი თვალს მიეფარა და ველარ მოვძებნე.

მეორე შეხვედრა უკვე მთავარ სასადილოში იყო, სადაც ბრაზილიის ნაკრები ჩვეულებრივ, ისევე როგორც სხვა ქვეყნის სპორტუ-





მადრიდის „რეალის“ მცველს მარსელოს და დანარჩენ ბრაზილიელებს არც სადილობისას ჰქონდათ მოსვენება






ფანების ალყიდან რონალდინიო თანაგუნდელებმა ბოთლების ტრიალით გამოიყვანეს

# რონალდინიოსთან ერთად

ლი დელეგაციები ერთ გუნდად დადიოდა. მათ გამოჩენას განსაკუთრებული ალიაქოთი ახლდა ხოლმე თან. ბრაზილიელები ყველას ყურადღებას იქცევდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო, ათასობით ადამიანს რონალდინიოს პირადად ნახვის შანსი ეძლეოდა და ამ შანსის ასე იოლად გაშვება არავის სურდა.

რონალდინიოსთან სურათს იღებდა ყველა ვინც კი მას თვალს მოკრავდა, დიდიც და პატარაც, სახელგანთქმულიც და უცნობიც. ბრაზილიელი სურათის გადაღებას არავისთან იზარებდა და ყველას თავაზიანად თანხმდებოდა თუმცა ეს მანამ, სანამ მას ჩინელი ვოლონტიორების მთელი არმია არ დაესია და ფანების ალყიდან თანაგუნდელებმა არ გამოიყვანეს.

რონალდინიოსთან სურათი საქართველოს დელეგაციის წევრებსაც გადავუღე, თავადაც გადავიღე და სამახსოვროდ ბრაზილიელს საქართველოს პინიც (მკერდზე მისამაგრებელი) ვაჩუქე. „კიჭამ“ მადლობაო ისე თქვა, გამიხარდა, ვიფიქრე ერთი-ორს შევეკითხები მეთქი, მაგრამ მომეტებული ინტერესი რომ შემამჩნიეს, თავაზიანად მთხოვეს ფეხბურთელი ზედმეტად აღარ შემეწუხებინა და მეც მოვერიდე, მით უმეტეს, რომ ბრაზილიის ნაკრებს სულ მალე არგენტინასთან ნახევარფინალური მატჩი ელოდა. ასე რომ, „ბარსელონადან“ „მილანში“ გადასვლაზე და კაზა კალაძის თანაგუნდელობაზე ვერ მოვასწარი კითხვის დასმა, მაგრამ სურათის გადაღებას ვერავინ დამიშლიდა და მეც მეტი რა მინდოდა, რონალდინიოს და ბრაზილიის ნაკრებს სასადილოდან ლამის სახლამდე ვდიე და ეს ფოტორეპორტაჟიც ასე გავაკეთე.

სასადილოდან გარეთ გამოსულ რონალდინიოზე ნამდვილი ნადირობა ატყდა. „კიჭა“ ქუდით ცდილობდა სახის დამალვას, მაგრამ ასე იოლად აბა როგორ დაიძვრენდა თავს და ბრაზილიელს რა რჯულის ხალხი აღარ მიესია, ბოლო აკორდი კი ჩინელი ვოლონტიორები იყვნენ, რომელთა რიცხვი და ყიჟინა რომ აღარ დასრულდა, რონალდინიო ფანების ტყვეობიდან თანაგუნდელებმა - ალექს სილვამ და ბრენომ იხსნეს, ალტაცებულ ჩინელებს ერთი-ორი მკაცრადაც შეუყვირეს - გეყოთ, გაეშვით ახლაო, თან ხელში წყლის ბოთლები ჰქონდათ მომარჯვებული და ხმალივით იქნევდნენ.

ამ ყველაფრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ტეტრაკამპეონებს პეკინის „მშრომელთა სტადიონის“ ტრიბუნიდან ვუყურე, როდესაც „კიჭა“ და მისი ძმაბიჭები ნახევარფინალში არგენტინლებმა 3:0 შემუსრეს. ბრაზილიის გულშემატკივარი ვარ, თუმცა ამ წაგებას მშვიდად შევხვდი, გულს ის მიკეთებდა, რომ თბილისში რონალდინიოსთან გადაღებული ფოტოები მომქონდა...

**გიორგი ჭანიშვილი**
***პეკინი — თბილისი***
***ავტორის ფოტოები***



ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლოს დუნგა ერთ-ერთ თანაშემწესთან ერთად






# დევ-ქალის დაბრუნება

## გაპირველებული სერენა ვინუსისთვის მეორეს უკვეთავს



*აშშ-ს ღია პირველობის მესამედ მოგების შემდეგ სერენა უილიამსმა კორტზე ემოციების ისეთი ნიაღვარი გადმოადინა, რომ ამერიკელი ჟურნალისტებს თუ უბრალო მაყურებელს გაკვირვებისგან პირები დააღებინა. ამიტომ ყველა მიოუთმენლად ელოდა უმცროსი შავდის პრეს-კონფერენციას და სერენამაც არავის გაუცრუა იმედები. ამაში თავად დარწმუნდებით ქვემოთ მოცემულ ინტერვიუში — სერენა აქ მოგების შედეგად განცდილ სიხარულსა და არცთუ სახუმარო მომავალ ამბიციებზე საუბრობს.*

— მეორე სეტი სასწაულით მოიგეთ. ძნელი იყო?

— გამიჭირდება რამის თქმა. უბრალოდ ვცდილობდი პოზიტიურ განწყობაზე დარჩენას და არ მინდოდა ნაადრევად დანებება. ვიცოდი, რომ საჭირო იყო ბრეიკის გაკეთება და ამაზე ვახდენდი კონცენტრაციას. ვცდილობდი შორს არ გამეხედა და მხოლოდ ყოველ შემდეგ გათამაშებაზე, შემდეგ დარტყმაზე მეფიქრა, რომ ყურადღება არ გამფანტვოდა.

**— ახლა როგორ 'გრძნობთ თავს?**

— ისე ვარ აღფრთოვანებული, რომ ამის სიტყვებით გადმოცემაც კი გამიჭირდება. საერთოდ სლემტურნირის მოგების შემდეგ ისეთი გრძნობა მრჩება ხოლმე, რომ კიდევ ერთი მატჩი მაქვს სათამაშო და მისთვის უნდა ვემზადო. ახლა კი ვგრძნობ, რომ ყველაფერი გავაკეთე და ჩავაქსოვე ამ გამარჯვებაში და ამიტომაც ვარ ასე გახარებული. მგონი კორტზე ეს სათანადოდ გამოვხატე.

**— რა უფრო გიხარიათ — მოგებული ტიტული თუ მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომა?**

— რა თქმა უნდა, ტიტული, თუმც გაპირველება მშვენიერი ბონუსია. მართლაც დიდი ხანია რეიტინგის სათავეში არ ვყოფილვარ. დამვიწყებია კიდეც ეს რა გრძნობაა.

**— მამათქვენმა განაცხადა, რომ თქვენ ამ ტიტულის მოგება სხვებზე მეტად გინდოდათ და ამიტომაც იმარჯვეთ. როცა რაღაცას მოუთმენლად ელი, სიხარულიც განსაკუთრებულია ხოლმე, არა?**

— ვერ გეტყვით. აქ ან დიდი სლემის სხვა ტურნირის მოგებით ყველა საოცრად აღფრთოვანებულია ხოლმე და გამიჭირდება .იმის თქმა, რომ სხვებზე მეტად მინოდა მოგება. ჩემთვის ეს გამარჯვება იმითაა განსაკუთრებული, რომ ეს უკვე მეცხრე სლემტიტულია და ორნიშნა რიცხვს ამით მაქსიმალურად მივუახლოვდი. ჩემი მიზანია ამ ნიშნულის დაპყრობა.

**— წლეულს მართლაც საოცრად ბევრს შრომობდით და ვარჯიშობდით, მაგრამ ეს შედეგებზე არ ისახებოდა. თუმც ყველაფერმა მაინც გაამართლა, არა?**

— აბსოლუტურად. წლეულს მართლაც თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი. ხანდახან დილის ექვს საათზე მივდიოდი ხოლმე კორტზე, მაგრამ ვერ ვვარჯიშობდი, რადგანაც ჯერ ისევ ბნელოდა და გათენებამდე მოცდა მიწევდა ხოლმე. ჰოდა, ეს ყველაფერი ახლა ამინაზღაურდა. ასე რომ, ნამდვილად ღირდა ამდენ წვალებად.

**— აქამდე თქვენს ანგარიშზე ისედაც იყო 8 სლემტიტული, ასე რომ, კარიერაში დიდებული მომენტები საკმაოზე მეტი გქონდათ. და ამაზე მეტი ვერაფერი რომ ვეღარ მოიგოთ, გექნებათ შეგრძნება თითქოს რამე დაგაკლდათ?**

— არა მგონია როდისმე დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გამიჩნდეს, რადგანაც ასეთი შეხედულებები არასოდეს მქონია. მაგრამ ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ მგონი მოვახერხებ კიდევ რამდენიმე სლემტიტულის მოგებას. არა მგონია ამაზე გავჩერდე. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ კარიერა ხელახლა დავიწყე, ძალაც მერჩის და საკმარისი ენერგიაც მაქვს წლის განმავლობაში ბევრ ტურნირზე რომ ვითამაშო. ვგრძნობ, რომ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შემიძლია და თან ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ჯერ არ მითამაშია.

**— უიმბლდონზე წაგება საკმაოდ მტკივნეული იყო. აქ გამარჯვებით ინგლისური მარცხი დავიწყებას მიეცემა?**

— რა თქმა უნდა. უიმბლდონის მოგება ძალიან კი მინდოდა, მაგრამ წაგების მიუხედავად მაინც მიხაროდა — იქ ხომ ჩემმა დამ იჩემპიონა, მე კი მისი ნებისმიერი წარმატება მახარებს. თანაც მაშინ ორივემ უმაღლესი დონის ჩოგბურთი ვითამაშეთ, პლუს წყვილებში ვიმარჯვეთ, რის გამოც ძალიან იმედგაცრუებული არ ვყოფილვარ.

ყველაფერმა მართლაც საოცრად კარგად ჩაიარა. უკვე წლის დასაწყისში ვიცოდი, რომ საკმაოდ მძიმე და დატვირთული ზაფხული მექნებოდა და ვნერვიულობდი.

**— მოტივაციას გძენთ სხვადახვა ადამიანების, მათ შორის კრის ევერტის გამონათქვამები იმის თაობაზე, რომ თქვენ ზედმეტად ბევრ ენერგიას ახარჯავთ კორტს მიღმა საქმიანობას და ეს ხელს გიშლით რეალურად დიდ ჩოგბურთელად ჩამოყალიბებაში?**

— ნუ, მე ძალიან მიყვარს ტიტულების, განსაკუთრებით კი სლემტურნირების მოგება და ნაკლებ ყურადღებას ვუთმობ იმას თუ რას ლაპარაკობენ ჩემს შესახებ სხვები. მე ფოკუსირებას ვახდენ იმაზე, თუ რისი გაკეთება შემიძლია და გარწმუნებთ, ბევრი რამ შემიძლია. ჩემთვის ჩვეულებივია დილას „ანერეს" (სერენას დიზაინერული ფირმა, რომლის დასახელებაც მისივე სახელის უკუღმა წაკითხვიდან მოდის) დიზაინებზე ვისაუბრო, რამდენიმე საათში კი კორტზე გავიდე და მორიგი მატჩი ვითამაშო. ყველას არ შეუძლია ამ ტემპით ცხოვრება, მაგრამ მე ვახერხებ და არაფრის შეცვლას არ ვაპირებ.

**— 1999-ში პირველი ტიტული მოიგეთ. რომელი უფრო განსაკუთრებულია — ის თუ დღევანდელი წარმატება?**



— ყველა განსაკუთრებულია. 99-ის წარმატება კი იმიტომ, რომ მაინც პირველი იყო. მანამდე ხომ ასეთი არაფერი განმეცადა და მაშინ საოცრად მიხაროდა. ის მოგება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ წყვილებშიც ვიჩემპიონე, [illegible] და წლეულსაც რომ გვეთამაშა წყვილებში.

**— ამის მიუხედავად ეს მოგება საოცრად აღნიშნეთ...**

— ცოტა ზედმეტი მომივიდა, არა?

**— და რამ გამოიწვია ემოციების ასეთი მოძალება?**

— ძალიან, საოცრად მინდოდა მოგება. თანაც ელენა იანკოვიჩი ყოველთვის ძნელი დასამარცხებელია. მასთან ბოლო შეხვედრაში თითქოსდა მატჩ-პოინტები მქონდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ის ჩოგბურთელთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებთან თამაშიც შენით უნდა მოიგო შეხვედრა, თორემ თავისით არაფრის დამთმობი არ არიან. ის ამჯერადაც ძალიან კარგად თამაშობდა და თავიდანვე მივხვდი, რომ ამ გამარჯვებაში მთელი ენერგია უნდა ჩამექსოვა. ამიტომაც თითქმის არ მახსოვს, როგორ მოვიპოვე მატჩ-პოინტი ან ბოლო გათამაშება როგორ მოვიგე. მხოლოდ გუმანით მივხვდი, რომ მოვიგე და მთელი დაგროვილი ემოციაც ამიტომ ვაჩვენე კორტზე.

**— თქვენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ხართ და ისეთი პირი უჩანს, რომ მთავარ კონკურენტად ვინუსი გეყოლებათ....**

— დიახ, ისევ რეიტინგის პირველ და მეორე საფეხურებზე უნდა დავბრუნდეთ. ძალიან მინდა პირველობა შევინარჩუნო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისიც იგივეს ისახავს მიზნად. ვინუსი ახლა მართლაც მშვენიერ ფორმაშია და თავისუფლად შეუძლია ჩემი ჯობნა. ახლაც კი ვერ წარმომიდგენია რამდენად გამიმართლა მასთან მეოთხედფინალში გამარჯვება რომ მე დამრჩა.

**— რამდენად გსიამოვნებთ ხოლმე მძიმე, ქულა-ქულაში მიმავალ ჯახებში მონაწილეობა?**

— ეს ჩოგბურთის ნაწილია. ყველაფერს იოლად ვერ მოიგებ და ამიტომ თუ შეგუებული არ ხარ აზრს, რომ ხანდახან დაძაბულ ბრძოლაში უნდა მიიღო მონაწილეობა, კარგს ნამდვილად ვერაფერს გამორჩები.

**— მოდით პეკინშიმ მოგებული ოქრო გავიხსენოთ. ის გამარჯვება უფრო განსაკუთრებული იყო თუ ეს?**

— პეკინში მოგების ყველაზე ნათელი მხარე ის იყო, რომ ეს წარმატება დასთან ერთად გავინაწილე. ერთად მოგება საოცრად კარგი გრძნობა გახლდათ.

**— რეიტინგის სათავეში დაბრუნებამდე თქვენ დიდი და ძნელი გზა გამოიარეთ. რა იყო საამისოდ საჭირო?**

— უპირველესად, სტაბილურობა. შარშან ბევრგან და ბევრი ვითამაშე და ტოპ-5-ში დაბრუნება შევძელი. მართალია, ამ წლის დასაწყისში ისევ ჩამოვქვეითდი, მაგრამ საუკეთესო ათეულიდან მაინც არ გავსულვარ. შემდეგ კი სტაბილურობის ხარჯზე ისევ გავიკვალე გზა პირველი ადგილისკენ. ეს ყველაფერი იოლად და უცბად არ მოსულა. ამას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

**— უახლოეს გეგმებში რა გაქვთ?**

— ახლა „ანერესს" უნდა მივხედო. უამრავი გეგმა მაქვს მასთან დაკავშირებით. საჩოგბურთო კუთხით კი შემოდგომაზე ევროპაში ჩავალ და რამდენიმე ტურნირზე ვითამაშებ.

**— ნიო იორკში გატარებულ გასულ ორ კვირას ერთი სიტყვით როგორ შეაფასებდით?**

— ჯადოსნური.

**— იმიტომ რომ?..**

— იმიტომ რომ, მართლაც ჯადოსნური იყო. ყველაფერი იდეალურად აეწყო. რაც შეეხება მომავალს, აუცილებლად მინდა კარიერის ბოლომდე კიდევ ერთი „როლან გაროსის" მოგება მოვასწრო და ყველამ კარგად იცით, როგორ მიყვარს უიმბლდონზე თამაში. ასე რომ, ამბიცია კვლავაც სათანადო დონეზე მაქვს.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B დივიზიონი. II წრე. 10 სექტემბერი. დუბლინი

## ირლანდია 77:94 საქართველო

13:23 20:14 13:23 31:34

# ქართველებმა ვენდეტა კალათში გაახვიეს

## უფრო რთული ბადე წინ გვაქვს

**ირლანდია:** მაკგრატი (32), ორეილი (15), მატაჟი (10)
**საქართველო:** ცინცაძე (4), ელისი (20 ქულა, 5 სამქულიანი), სანიკიძე (31 ქულა, 3 სამქულიანი), ვ. ბოისა (12), ფაჩულია (16);
*სათადარიგონი:* ცქიტიშვილი (8), გამყრელიძე (3), ა. ბოისა, ტუღუში, შერმადინი, ბერიშვილი

**ირლანდიის** დედაქალაქ დუბლინში გუშინ გამარჯვება მოიპოვა საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა, რომელმაც ამ გამარჯვებით მიმდინარე შესარჩევ ციკლში ზედიზედ მეორე მოგება ჩაიწერა.

რაც ყველაზე მთავარია არც ამჯერად გასჭირვებიათ ჩვენებს მოწინააღმდეგის დამარცხება და ამასთან ერთად ირლანდიელ ფეხბურთელებთან შაბათს საქართველოს ნაკრების მარცხისთვის გარკვეულწილად შურიც კი იძიეს.

ეს დუბლინური მატჩი. ამ ორი ქვეყნის დაპირისპირებაში მესამე შეხვედრა იყო და სამივეჯერ ქართველები გამოვიდნენ გამარჯვებულები. თუკი პირველ ჯერზე 1999 წელს მხოლოდ 80:78 მოვიგეთ, შემდეგ სეზონში 95:80 გავიმარჯვეთ მესამე ცდაზე კი ეს შედეგი კიდევ უფრო გავზარდეთ და როგორც ხედავთ 94:77 ვიმარჯვეთ.

ქართველთა წარმატებაში ლუქსემბურგთან მატჩის მსგავსად ყველაზე დიდი როლი ვიქტორ სანიკიძემ შეასრულა, რომელმაც ამჯერად 31 ქულა შესძინა ჩვენს ნაკრებს.

სანიკიძეს წინა თამაშის მსგავსად მხარი ტაირონ ელისმაც აუბა და მან 20 ქულა დააგროვა, ამათ შემდეგ ყველაზე შედეგიანი ჩვენს გუნდში ზაზა ფაჩულია იყო 16 ქულით.

სხვათა შორის არც „სამყურები" მსხდარან უსაქმოდ, მათგან ძალიან მაღალ დონეზე ითამაშა დონი მაკგრეტმა, რომელიც შეხვედრის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა 32 ქულით.

ჯერჯერობით საქართველოს ნაკრებს თამაში კარგად მისდის, რაც მთავარია სადებიუტო ორი შეხვედრიდან ორივე მოვიგეთ, ახლა ორი დარჩენილი მატჩიდან სასურველია ორივე მოვიგოთ, თუმცა ალბათ ერთი მარცხის უფლებაც გვაქვს, რადგან გაისად თბილისში ვმასპინძლობთ ოთხივე ნაკრებს და არა გვგონია, რომელიმეს დამარცხება გაგვიჭირდეს ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი უმთავრესი იმედი დღესდღეობით ხომ ამ ორი წლის ჯამში უმაღლეს დივიზიონში ასვლაა, რისთვისაც ყველაფერი უნდა გააკეთონ ქართველმა კალათბურთელებმა.

ნამატჩევს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა *ბესიკ ლიპარტელიანმა* ეს კომენტარი გააკეთა: „დადებითად შევაფასებ ამ შეხვედრას. ჩვენმა გუნდმა გამოავლინა მტკიცე ხასიათი და ძალიან მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სტუმრად. თუმცა არ მინდა ახლა ხმამაღალი განცხადების გაკეთება და რაიმე დასკვნის გამოტანა. წინ ორი ურთულესი მატჩი გველის და მას შემდეგ შეგვეძლება უფრო კონკრეტულად საუბარი... ამ მატჩში კი ჩვენებმა კარგად ითამაშეს. ცოტა კრიზისული მომენტი მეორე მეოთხედში გვქონდა, როცა მეტოქე კუდში მოგვდევდა, მაგრამ მეორე ნახევარში ყველაფერი გამოვასწორეთ. რაც მთავარია, საქართველოს ნაკრებმა გუნდური თამაშის ხარჯზე მოახერხა წარმატების მიღწევა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ხვალ ჩვენი გუნდი სლოვაკეთში მიემგზავრება, სადაც ამაზე რთული მატჩი გველის".

*დავით უსტიაშვილი,* საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი: ძალიან მებრძოლი გუნდია ირლანდია და მოდუნების საშუალება არ მოუცია. საბოლოოდ დამაჯერებელი სხვაობით კი მოვიგეთ, მაგრამ ეს არ იყო იოლად მოსული გამარჯვება. ყველა კალათბურთელმა მაქსიმუმი ჩადო თამაშში. თავიდანვე შეგვეძლო, საიმედო სხვაობით დავწინაურებულიყავით, მაგრამ მასპინძლები სამქულიანებს კარგად ესროდნენ და წინ გაჭრის საშუალებას არ გვაძლევდნენ. მეორე მეოთხედში ცოტა წამოგვეწივნენ, სხვაობა 4 ქულამდეც შეამცირეს, მაგრამ შესვენების შემდეგ ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ წარიმართა. ვიქტორ სანიკიძემ ძალიან მნიშვნელოვანი ქულები ჩააგდო, რომ აღარაფერი ვთქვა მოხსნილ ბურთებზე. რაც მის ზონაში მოხვდა, ვიქტორმა ყველა ფარიდან ასხლეტილი ბურთი მოიხელთა და მეტოქის გატეხვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მიუხედავად ამისა, ირლანდიას მაინც გუნდური თამაშის წყალობით ვაჯობეთ, ელისმა, ფაჩულიამ, ვლადიმერ ბოისამ და ცქიტიშვილმა საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშეს.

... ცქიტიშვილი რომ ხუთეულში არ იყო, ეს ჩვეულებრივი მომენტია. ის სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში და მოედანზეც საკმაოდ ბევრი დრო დაჰყო. ნამდვილად არ აქვს მნიშვნელობა, ვინ დაიწყებს თამაშს, მთავარი შედეგია და ეს ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული. დღეს ასე იყო საჭირო, მომავალი მატჩი შეიძლება განსხვავებული ხუთეული ვიხილოთ.

... რა თქმა უნდა, გვქონდა ხარვეზები. ამისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა მთლიანობაში კარგი თამაში გამოვიდა. ახლა უკვე სლოვაკეთზე გადავერთეთ, სადაც ხვალ დილას მივემგზავრებით და მატჩამდე მოსამზადებლად საკმარისი დრო გვექნება.

... აუცილებლად უნდა აღვნიშნო ის ატმოსფერო, რომელიც დარბაზში სუფევდა. უამრავი ქართული დროშა და ჩვენი თანამემამულე. საქართველო-საქართველო მთელი მატჩის განმავლობაში ისმოდა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ უფრო მხურვალე ქომაგობა გვქონდა, ვიდრე მასპინძლებს. ვინც კი დუბლინში ქართველი იყო. უმეტესობა ჩვენს მხარდასაჭერად მოვიდა, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. ყველას ძალიან გაგვეხარდა რომ ქომაგები არ გავაწბილეთ. წინ უფრო რთული მატჩები გველის და მათში საბრძოლველად საკმაოდ კარგად ვართ მომზადებულნი. გუნდში ძალიან კარგი განწყობაა, ყველა ერთი მუშტივითაა შეკრული.

**გიორგი არაბული**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 4 |
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 4 |
| ირლანდია | 2 | 0 | 2 | 2 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 1 | 1 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 1 | 1 |





ვიქტორ სანიკიძემ და ტაირონ ელისმა ირლანდიელთა კალათი ამოაგლიჯეს






ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული კუბოკრული დაფა

## აბუ-დაბი-მანილა

**არაბეთის** გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში დაწყებულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ექვსი ქართველი მოჭადრაკე თამაშობს.

ქალებში 5 ტურის ჯამში ერთპიროვნულად ლიდერობს საერთაშორისო დიდოსტატი ნინო ხურციძე. მას 4,5 ქულა აქვს. 3,5 ქულით მეოთხე ადგილზეა საერთაშორისო დიდოსტატი და მრავალგზის მსოფლიოსა და ოლიმპიადების ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ხოლო საერთაშორისო დიდოსტატი ნინო გურიელი 3 ქულით მეექვსეზეა.

ვაჟებში ქართველებიდან ზურაბ სტურუა, ვალერიან გაფრინდაშვილი და მერაბ გაგუნაშვილი გამოდიან. სტურუა და გაფრინდაშვილი 5,5 ქულით მეექვსე-მეშვიდე ადგილებს იყოფენ, ხოლო გაგუნაშვილი 5 ქულით მეთოთხმეტე პოზიციაზეა.

მანილაში კი მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი, რომელზეც კონსტანტინე ჩანავა და მიხეილ მჭედლიშვილი თამაშობენ საერთაშორისო დიდოსტატებით დახუნძლულ შეჯიბრებაზე. მჭედლიშვილი და შანავა 3,5-3,5 ქულით მეთერთმეტე-მეთოთხმეტე ადგილებს იყოფენ თავის მოწინააღმდეგეებთან ერთად.

**ზურაბ მიგრიაული**



# ქალები ვარშავაში

**12-14 სექტემბერს** ვარშავაში, როგორც კაცთა, ასევე ქალთა შორის, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ტურნირზე საქართველოს ორივე ნაკრები იჭიდავებს.

კაცების შემადგენლობა უკვე გაგაცანით. ქალების შესახებ კი გეტყვით, რომ ჩვენი გუნდის ფალავნები ოთხ წონით კატეგორიაში დაიცავენ საქართველოს სახელს. 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნათია ვეშაგური გამოვა. მარიამ ტარუაშვილი 52 კგ-ში იბრძოლებს, თინათინ ქულუსაშვილი 63 კგ-ში, ხოლო ნინო ოძელაშვილი 78 კგ-ში.

საქართველოს ქალთა ნაკრებს გია თენაძე წვრთნის.

**ზურაბ მიგრიაული**

la vuelta'08

63-ე ლა ვუელტა ესპანა. 30 აგვისტო - 21 სექტემბერი

# ეგოის ეგოიზმი



**პირენეებში** სამი ეტაპის გავლის შემდეგ ვუელტა დაეშვიდობა ნავარა-ბასკეთის მაღალმთიან მხარეს და ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი მდინარის ებროს ხეობაში დაეშვა. 151 კილომეტრზე გაჭიმული მეათე ეტაპი დაიწყო პროვინციულ ქალაქ საბინანიგოში, რომელიც ხშირად ძევს ვუელტას გზაზე და დასრულდა არაგონის მხარის დედაქალაქ სარაგოსაში.

პელოტონს ერთი დიდი მთა ჰქონდა გადასაგორებელი, თითქმის 1300 მეტრზე აზიდულ პუერტო დე მონრეპოსი თავისი საკმაოდ ციცაბო, 11-კილომეტრიანი აღმართით, მაგრამ რაკი ეს დაბრკოლება ეტაპის პირველ მეოთხედში წამოჭიმულიყო და დარჩენილი გზა ერთ დიდ დაღმართს წარმოადგენდა, მთიელმა მრბოლებმა აქ ველარ გამოიყენეს თავიანთი უპირატესობა, ბედს შეგუებულები პელოტონში ჩუმად ჩასხდნენ და როგორც რიგითმა ჯარისკაცებმა ისე უწიეს ფინიშს, რომელიც პელოტონის ამგვარი შეკრულობის გამო წმინდა სპრინტერული გამოდგა.

დაირღვა წინა ეტაპებზე დაწესებული მკაცრი ტრადიცია და საერთო ჩათვლაში ლიდერი არ შეცვლილა — მეცხრე ეტაპის ერთ-ერთმა გმირმა, ბასკმა ეგოი მატინესმა მეორე დღითაც შეინარჩუნა ოქროსფერი მაისურა და გულში ალბათ ფიქრობს, სადაც ორია, იქ იქნებ კიდევ ერთი დღით შემრჩეს, რადგან მე-11 ეტაპიც ასე თუ ისე ვაკისაა და გენერალურ ცხრილში დიდი ცვლილებები არ მოხდებაო, მაგრამ ამ უცნობ მრბოლს ბორბალზე ისეთი ბიჭები ასხედან, რომ ეგოის ოცნებას ალბათ მალე გაახუნებს ნაცრისფერი რეალიზმი. თანაც ვუელტაზე მარტო პირენეის მთები როდი ართულებენ გზას, 12 სექტემბრიდან ჩრდილოეთით, ბისკაის ყურის სანაპიროსკენ გზაც აღმართიანია, კარგა მაღალ კანტაბრიის მთებზე მიიკლაკნება, ასე რომ ვალვერდეს, სასტრეს, კონტადორს და ლეიფჰეიმერს ალბათ მალე მიჩენენ კუთვნილ ადგილს მოულოდნელ ლიდერს, მანამდე კი იოცნებოს მარტინესმა.

მეათე ეტაპის საფინიშო სპრინტი კი გვარიანი სანახავი გამოვიდა. ათეულობით ზორბა ბიჭმა სარაგოსას ქუჩებში ფეთიანი შეჯიბრი მოაწყო. მოულოდნელი იყო „კრეიდ აგრიკოლს" 34 წლის ფრანგი ვეტერანის სებასტიან ინოს გამარჯვება. ბოლო მეტრებზე მან სულ დარჩეული სპრინტერები მოიტოვა — ბოონენი, ფრეირე, წინა ეტაპის მომგები ვან ავერმატი.

ინომ მადლობები უხადა თანაგუნდელებს — ბოლო 10 კილომეტრზე კარგად იმუშავეს და ხესაყრელი პოზიცია შემიქმნეს შეტევის წინ. ძალიან მოტივირებულები ვიყვნენ, რაკი ჩვენი გენ-სპონსორი დაფინანსების გაგრძელებაზე უარობს და ახალი პატრონის მოსახიბლად ძალას არ ვზოგავთო.

**ირაკლი ფირაშვილი**

**მე-10 ეტაპი. საბინანიგო — სარაგოსა. 151 კმ**

| | |
|---|---|
| 1. სებასტიან ინო (საფრაგნეთი, „კრედიტ აგრიკოლი") | 3 სთ 22 წთ 21 წმ |
| 2. ლოიდ მონდორი (საფრანგეთი, AG2R) | |
| 3. გრეგ ვან ავერმატი (ბელგია, „ლოტო") | |
| 4. ოსკარ ფრეირე ესპანეთი, „რაბობანკი") | |
| 5. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქუიქ სტეპი") | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | 36 სთ 46 წთ 17 წმ |
| 2. ლევი ლეიფჰეიმერი (აშშ, ასტანა) | +11 წმ |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +32 წმ |
| 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +1 წთ 00 წმ |
| 5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1 წთ 38 წმ |



# არმსტრონგი ბრუნდება?!

სენსაციური ცნობა გავრცელდა გუშინ: ლენს არმსტრონლი აქტიურ სპორტში დაბრუნებას გეგმავს! 1999-05 წლებში ტურ დე ფრანსის ზედიზედ შვიდჯერ მომგები ლეგენდარული ამერიკელი ველომბოლი სავსებით სერიოზულად აპირებს ოთხწლიანი შესვენების შემდეგ 2009 წლის ტურზე გასვლას და მის მერვედ მოგებას. ახლა ის 37 წლისაა.



# რობლესი ქარშიც ქარივით სწრაფია



**სლოვაკეთი** კი არის ევროპის წელმაგარი ოჯახის წევრი, მაგრამ ქვეყანა ორგანიზაციული და სპორტული განვითარებით ჯერ იმ სიმაღლეზე არ დგას, მძლეოსნობაში უმაღლესი კატეგორიის კომერციულ ტურნირებს — ოქროს ლიგის ეტაპსა თუ გრან პრის უმასპინძლოს, თუმც საშუალო ტურნირების მიღებას კი ახერხებს. ამ ქვეყანაში ორი ცნობილი სამძლეოსნო ცენტრია, ორივე მომცრო ქალაქში — ბანსკა ბისტრიცასა და დუბინცაში.

დუბინცა 26-ათასიანი პროვინციული ქალაქია, თუმც ამ ორიოდ დღის წინ მის 6-ათასიან სტადიონზე გამართულ ტურნირზე 5,5 ათასი მაყურებელი შეიკრიბა ახლახან ჩავლილი პეკინის ოლიმპიადის 16 პრიზიორისა და სხვათა საცქერად.

დუბინცაში იყო მისი აღმატებულება დეირონ რობლესი, 22 წლის კუბელი თარჯმორბენალი, რომელმაც წლეულს ჩინელ ლიუ სიანს მსოფლიო რეკორდიც აართვა და ოლიმპიური ჩემპიონობაც 110 მეტრ თარჯრბენში. რობლესი მსოფლიოს საუკეთესო სტადიონებზე სირბილსაა მიჩვეული და სარბენ ბილიკზე მხოლოდ ცალი მხრიდან მიდგმულმა ტრიბუნამ დისკომფორტი შეუქმნა. ღია ალაგებიდან ქარი უბერავდა და მორბენლებს საქმეს ურთულებდა. რაკი ეს ტურნირი ნაკლებოფიციალური იყო, რობლესმა გვერდით მდგომს სთხოვა, შენი სარბენი ბილიკი დამითმეო და ქარისგან ოდნავ უკეთ დაცულმა თავისი სირბილით დიდად ასიამოვნა სლოვაკები. მსოფლიოს უსწრაფეს თარჯმორბენალს დრო და ფეხები არ დაუზოგავს და 12,95 შედეგი აჩვენა, რითაც ბარე 0,72 წამით ანუ ლამის 8 მეტრით მიასწრო მეორე ადგილზე გასულ ამერიკელ რაიან ვილსონს, რომელიც ამ თავისი შედეგით ოლიმპიადაზე ნახევარფინალშიც (16 საუკეთესო) კი ვერ მოხვდებოდა. რობლესმა — როგორც მერე აღიარა — მსოფლიო რეკორდსაც (12,87 წამი) კი შეუტია, თუმც გვერდითმა ქარმა არ გაუშვა. სლოვაკები მაინც ნასიამოვნები დატოვა, 12,95 შედეგით ხომ ამ ქვეყანაში არც სლოვაკს ურბენია და არც არასლოვაკს.

მღელვარე გამოდგა 2004 წლის ათენის ოლიმპიადის ჩემპიონ, შვედ სიმაღლეზე მხტომელ შტეფან ჰოლმის გამოსვლა. ასაკშეპარულ ჰოლმს სისხარტეც მოაკლდა და გამარჯვებებიც, პეკინში მხოლოდ მეოთხე იყო და მედალიც კი არ შეხვდა და სწორედ დროულად მიიღო სეზონის ბოლოს სარბიელიდან წასვლის გადაწყვეტილება. ასე რომ, ნებისმიერ ტურნირზე მისი გამოჩენა დიდ სპორტსმენთან ემოციური გამოთხოვებაა და შვედი ვარსკვლავი სლოვაკებმაც თბილი ტაშით გააცილეს. ოღონდ ჰოლმმა მანამდე 2,32-მეტრიანი ნახტომი შეასრულა და პეკინის ბრიტანელ ვერცხლისმედლოსან ჯერმეინ მეისონს (2,30) აჯობა. ეს მისთვის 131-ე ნახტომი იყო 2,30 მეტრზე და მაღლა.

დუბინცაში მაღალი კლასი აჩვენა კიდევ არაერთმა ოლიმპიელმა. ქალთა შორის 100 მეტრზე თარჯრბენი პეკინის ტრიუმფატორმა, ამერიკელმა დაუნ ჰარპერმა 12,71 წამში მოიგო. ასევე ახალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სლოვენიელმა უროს მტყორცნელმა პრიმოჟ კოზმუსმა 78,90 მეტრზე ნატყორცნით იმარჯვა. ხოლო 4X100 მეტრზე პეკინში იამაიკური ზღაპრული კვარტეტის წევრმა ნესტა კარტერმა (დანარჩენი სამი იყო — უსაინ ბოლტი, ასაფა პაუელი და მაიკლ ფრატერი) 100 მეტრზე შეჯიბრი არცთუ საამაყო შედეგით, 10,27-ით მოიგო, მაგრამ რაკი მისი სირბილის დროს ამ ფარლალალა სტადიონზე ქარს უარყოფითი კუთხიდან შემოებერა, იამაიკელსაც იოლად ეპატია უსახური შედეგი.

პეკინის შემდეგ ერთმანეთს პირველად შეეტაკნენ ზორბა ბირთვის მკვრელები — პოლონელი ტომაშ მაჯევსკი და ამერიკელი კრისტიან კანტველი. ოლიმპიადაზე პოლონელმა კი იმარჯვა და ის დუბინცაშიც რიგიანად გამოვიდა, ექვსივე ცდაზე გადააცილა ბირთვი გროსმაისტერულ 20 მეტრს, თუმც რაკი მათგან საუკეთესო ნაკრავი მხოლოდ 20,86 მეტრი იყო, ხოლო კანტველმა საუკეთესო ცდაზე 21,39 ჰკრა, გამარჯვებაც ამ უკანასკნელს დარჩა.

**ირაკლი ფირაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge